კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

მადლენ პაპოშვილი

გლობალური პოლიტიკური ურთიერთობების კრიზისი და მისი დაძლევის პერსპექტივები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2024

საავტორო უფლება © 2024 წელი, “მადლენ პაპოშვილი“

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თამარ კიკნაძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

ოფიციალური რეცენზენტები:

1. ნიკა ჩიტაძე - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

2. ედიშერ გვენეტაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 28 თებერვალს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის სრული ტექსტის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სწავლული მდივანი:

პეტრე მამრაძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

XX საუკუნის დასაწყისამდე საერთაშორისო ურთიერთობები ცალკე სამეცნიერო დისციპლინის სახით არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალური პოლიტიკა არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა ავტორის ინტერესის საგანი (თუკიდიდე, პლატონი, არისტოტელე, მაკიაველი, ჰობსი და სხვა).

პირველი მსოფლიო ომის მასშტაბურობამ და დამანგრეველმა შედეგებმა ევროპულ საზოგადოებაში საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების საკითხი მწვავედ დააყენა. ახალ დისციპლინას მეთოდოლოგიურად უნდა შეესწავლა ომის გამომწვევი მიზეზები, მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნის საკითხი და გამოევლინა გლობალური პოლიტიკური კრიზისების გადაჭრის გზები, რათა მომავალში კაცობრიობისთვის თავიდან აერიდებინა შესაძლო გლობალური ომის კატასტროფული შედეგები. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინად ჩამოყალიბებამდე ამ ამოცანებს ფილოსოფია, ისტორია, დიპლომატია, სამართალი და სხვა მომიჯნავე დარგები ინაწილებდნენ.

პირველმა მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად გარდაქმნა ევროპული პოლიტიკური აზროვნება. 1919 წელს, ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის აბერისთუითის (Aberystwyth) უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების პირველი კათედრა დაფუძნდა. იმავე წელს, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტმა პირველად შექმნა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის დეპარტამენტი. სწორედ აქედან დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარება, რასაც მალევე საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიული სკოლების აღმოცენება მოჰყვა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობებში იდეალიზმის იდეები გაბატონდა, რომელსაც ნორმან ანჯელის ნაშრომი "დიდი ილუზია" და აშშ-ის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის იდეალისტური ხედვები დაედო საფუძვლად, რის გამოც, ეს პერიოდი "ვილსონისეული იდეალიზმის ხანადაა" წოდებული. იდეალიზმის ტრიუმფი გახლდათ გლობალურ აქტორთა მიერ 1928 წელს ხელმოწერილი კელოგ-ბრაიანის პაქტი, რომლის მიხედვითაც ხელმომწერი სახელმწიფოები კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამან გააჩინა ერთგვარი ილუზია იმისა, რომ მსოფლიოში ომები აღარ იქნებოდა.

საერთაშორისო ურთიერთობების იდეალისტურმა ხედვებმა მალევე განიცადა კრახი, ვინაიდან იდეალისტების მოსაზრება, რომ ურთიერთდამოკიდებული და გლობალიზებული მსოფლიო ფართომასშტაბიან ომებს თავიდან აიცილებდა - არ გამართლდა. იდეალიზმის იდეოლოგიურ საფარქვეშ შექმნილმა ერთა ლიგამ ვერ უზრუნველყო ტოტალიტარიზმის, ავტორიტარიზმის, იმპერიალიზმის და ექსპანსიონიზმისაგან გამოწვეული დესტრუქციული ქმედებების შეჩერება. შედეგად, კაცობრიობამ ვერ შეძლო მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილება.

მეორე მსოფლიო ომის წინარე და შემდგომმა პერიოდმა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ახალი ხედვების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომლებიც რეალიზმის სახელითაა ცნობილი. სწორედ ამავე პერიოდში შეიქმნა პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ფუძემდებლური შრომები, სადაც მკაცრად და მრავალი კუთხიდანაა გაკრიტიკებული იდეალიზმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ედუარდ ქარის "ოცწლიანი კრიზისი" (1939 წ.) და ჰანს მორგენთაუს "ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისთვის და მშვიდობისათვის" (1948 წ.).

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა გავლენა იქონია საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის განვითარების დინამიკაზე. შედეგად, საერთაშორისო ურთიერთობებში დაიწყო ე.წ. მეორე და მესამე დიდი დებატები. აღნიშნულს საფუძვლად დაედო საერთაშორისო

ურთიერთობების დისციპლინაში არსებული თეორიული ჩიხიდან გამოსვლისა და გლობალური პოლიტიკური კრიზისებისგან თავის დაღწევის გზების ძიება. თუმცა, როგორც თანმდევმა მოვლენებმა ცხადყო, თეორიული რევიზია არც ისე წარმატებული და მდგრადი პროცესი აღმოჩნდა. საერთაშორისო ურთიერთობების სკოლებმა გლობალური პრობლემის ოპტიმალური და გრძელვადიანი გადაჭრის სტრატეგიების დასახვა ვერ შეძლეს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვერ მოხერხდა ისეთი თეორიული საფუძვლების შემუშავება, რომელზე დაყრდნობითაც გლობალური პოლიტიკის წამყვანი აქტორები უსაფრთხო და მშვიდობიან განვითარებასა და თანაარსებობას მოახერხებდნენ.

ცივი ომის დასრულებისა და სოციალისტური ბანაკის რღვევის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა შორის გაჩნდა მოსაზრება, რომ მსოფლიოში არსებულ გლობალურ პოლიტიკურ კრიზისებს ლიბერალური დემოკრატიის ვექტორისკენ სვლა განმუხტავდა. თუმცა, სსრკ-ის დაშლიდან დღემდე განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ამგვარი ოპტიმისტური მოლოდინები საფუძველს მოკლებული იყო.

პოლიტიკური კრიზისებისგან თავის დაღწევისა და საერთაშორისო სისტემაში ერთა თანაცხოვრების ოპტიმალური პრინციპების დადგენის აუცილებლობა დღითიდღე ცხადი ხდება. საერთაშორისო ურთიერთობათა საკმაოდ კომპლექსურ რუკას კიდევ უფრო მეტად ართულებს ახალი ტიპის აქტორების ჩართულობა (მაგ. ტრანსნაციონალური კორპორაციები და ტრანსნაციონალური არაფორმალური კავშირები). გარდა ამისა, საზოგადოებათა განწყობების ფორმირების პროცესი ჯერაც აუხსნელია პირდაპირი და ადვილად დამზერადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით. ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა, თეორიულ კრიზისთან ერთად, კაცობრიობას დესტრუქციული პროცესების წარმოქმნის რისკების წინაშე აყენებს, რომელთა ეფექტური გადაწყვეტის სისტემური გზები დღემდე არ გვაქვს.

ზემოაღნიშნული საკითხებისა და, შესაბამისად, წინამდებარე კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა 2022 წლის თებერვალში

გამწვავებულმა და გაღრმავებულმა უკრაინის კრიზისმა, რომლის შედეგადაც საერთაშორისო სისტემის ჩიხური მდგომარეობა უფრო ცხადი და სახიფათო გახდა. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ არსებული თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები ვერ ახერხებს, როგორც მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას, ისე კონკრეტული აქტორების მიერ გადადგმული ნაბიჯების ახსნას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო ურთიერთობათა კრიზისის და მისი საფუძვლების კიდევ ერთხელ გადააზრების პროცესში.

თემის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზნებია გამოავლინოს და დაასაბუთოს გლობალური პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პრობლემები და გამოწვევები; განიხილოს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ და კრიტიკულ თეორიებში არსებული ხარვეზები და სხვადასხვა კრიტიკული საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, კონცეფციებისა თუ დოქტრინების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს გლობალური პოლიტიკის სისტემური კრიზისიდან გამოსვლის მეცნიერული გზა და შემოიტანოს საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი თეორია, რომელიც შეძლებს ამ კრიზისის აღმოფხვრას.

კვლევის ძირითადი ამოცანები თავისთავად გამომდინარეობს საკვლევი თემის ირგვლივ დასახული მიზნებიდან. შესაბამისად, კვლევის ამოცანები სადისერტაციო თემის მიზნების მიღწევის ფარგლებში დასახული მიმართულებებია. კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიების შესწავლა და ანალიზი;
- გლობალური პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კრიზისული მდგომარეობის აღწერა და ანალიზი;

- საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკული თეორიების შესწავლა და კრიზისიდან გამოსავლის გზების ძიების პროცესში მათი გამოყენება;
- კლასიკური და კრიტიკული საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ და კონცეპტუალურ ბაზაზე დაყრდნობით საერთაშორისო ურთიერთობების ახალი თეორიის შექმნისა და მისი ინიციირების აუცილებლობის დადასტურება.

საკვლევი კითხვები

სადისერტაციო თემის მთავარი საკვლევი კითხვებია:

1. რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს საერთაშორისო სისტემის პოლიტიკურ კრიზისს?
2. საერთაშორისო სისტემის შიგნით არსებულ რა ტიპის პრობლემებს ვერ ხსნის საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიები და რატომ?
3. როგორ შეიძლება საერთაშორისო სისტემის შიგნით არსებული პოლიტიკური და სისტემური კრიზისის ფუნდამენტური გადაწყვეტა?
4. შეძლებს თუ არა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი თეორია მსოფლიოს გლობალური კრიზისიდან გამოყვანას?

ჰიპოთეზა

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში არსებული იდეური და სისტემური კრიზისი სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს.

დღეს არსებული საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები ვერ გვთავაზობს სხვადასხვა პოლიტიკური აქტორების შეთანხმების კონცეპტუალურ და პრაქტიკულ გზებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი პრინციპული იდეური სხვაობაა დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის, ჩინეთის და რუსეთის ფედერაციას შორის: იმ დროს, როდესაც ერთი მხარე ორიენტირებულია ინდივიდის უფლებებზე, მეორე და მესამე წინ აყენებს კოლექტივის და სახელმწიფოს უფლებებს. არ არის გასაკვირი, რომ ამ

დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციების ბაზაზე ვერ გენერირდება შეთანხმების უნივერსალური, ყველასათვის მისაღები მოდელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების ახალი თეორიის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გლობალურ პოლიტიკურ სივრცეში მოქმედი ყველა აქტორის სპეციფიკა და ფუნდამენტური შინაგანი ინტერესები, რაც ნიშნავს მიმდინარე კონფლიქტების გადაჭრას, მომავალი კონფლიქტების პრევენციის გზების პოვნას და გლობალურ აქტორებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საერთაშორისო ურთიერთობების კრიზისის შესახებ სხვადასხვა დროსა თუ კონტექსტში არაერთი თეორიული სამეცნიერო ნაშრომი თუ სტატიაა შექმნილი. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისთვის შეირჩა იმგვარი სამეცნიერო ლიტერატურა თუ წყაროები, რომლებიც უშუალოდ დისერტაციის საკვლევ თემას ეხება. კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო შეგვერჩია რელევანტური სტატიები, ნაშრომები, მონოგრაფიები და სხვა სახის პუბლიკაციები, რისთვისაც სამეცნიერო ლიტერატურის შემდეგი კრიტერიუმები შემუშავდა: ავტორთა კომპეტენტურობა და მიუკერძოებლობა, სამეცნიერო ნაშრომის ინფორმაციულობა, ინოვაციურობა და ორიგინალურობა, საკითხის ხედვის მასშტაბურობა და სიღრმისეული ხედვები.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია როგორც უცხოური, ასევე ქართულ სამეცნიერო სივრცეში შექმნილი ნაშრომები. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერის, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ემზარ ხვიჩიას მიერ შექმნილი სამეცნიერო ტექსტები.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული და გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი მკვლევრებისა და სპეციალისტების წიგნები,

მონოგრაფიები, სტატიები, ინტერვიუები და სხვა სახის მასალები (იმანუელ ვალერშტაინი, იოჰან გალტუნგი, ნოამ ჩომსკი, ფრენსის ფუკუიამა, ჯონ მირშაიმერი, რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, რობერტ კიოჰენი, ჯოზეფ ნაი, ალექსანდრ ვენდტი, სემუელ ჰანტინგტონი, ფარიდ ზაქარია, ჯოვანი არიგი და სხვ.).

კრიტიკული, ობიექტური და განსხვავებული ხედვების წარმოჩენის მიზნით სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიულ სკოლებს, რის გამოც ნაშრომში მოხვდა, როგორც კლასიკური თეორიები (რეალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტრუქტივიზმი, მარქსიზმი), ასევე კრიტიკული თეორიები (ნეომარქსისტული სკოლები; ურთიერთდამოკიდებულების თეორია; მსოფლიო-სისტემების თეორია; იმპერიალიზმის და ჰეგემონიის თეორიები; პოსტკოლონიალისტური თეორია; განმათავისუფლებელი ფილოსოფია და სხვ.).

1. ალექსანდრ ვენდტის "საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია"[1] - კონსტრუქტივიზმის სკოლის ყველაზე გავლენიანი და ცნობილი ნაშრომია. ავტორი განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობებს, როგორც ხალხთა შორის არსებულ შეთანხმებას, რომლებიც ფართოდ გაზიარებულ იდეებსა და წარმოდგენებზეა დაფუძნებული. ამგვარი ურთიერთობები არსებობს არა მატერიალური სახით, როგორც რაიმე ფიზიკური მოცემულობა, არამედ ისტორიული კონსტრუქტის სახით, როგორც მეტ-ნაკლებად შეთანხმებულ იდეათა კრებული. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოთა პოლიტიკას და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს უპირველესად იდეები განაპირობებენ და თუკი ისინი შეიცვლება, მაშინ ამ ურთიერთობათა ხასიათიც შეიცვლება.

ვენდტის მიერ პოლიტიკური ქმედება განმარტებულია, როგორც მრავალი სუბიექტის კოლექტიური ძალისხმევა საერთო მიზნების მისაღწევად და ამ კოლექტიური ძალისხმევის აგრეგაციული ეფექტი. გარდა ვენდტის არგუმენტისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები სოციალურად კონსტრუქტია, ნაშრომი იძლევა

[1] Wendt , A. Social Theory of International Politics. Cambridge University Press, 2003.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის და მეცნიერების ხელახალი გადაფასების შესაძლებლობას.

2. იმანუელ ვალერშტაინის "თანამედროვე მსოფლიო სისტემები"[2] - საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შექმნილ ერთ-ერთ გამორჩეულ ნაშრომად ითვლება. ვალერშტაინის თეორია წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ არის გამოყენებული, ვინაიდან ავტორი მეთოდურად ავითარებს ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მატერიალისტურ განმარტებას. იგი ერთმანეთისგან გამოყოფს მინი-სისტემებს, რომლებიც ადგილობრივ მცირემასშტაბიან შეთანხმებებს ეყრდნობოდნენ და დამახასიათებელი იყო პირველყოფილი საზოგადოებებისთვის. მეორე მხრივ, მინი-სისტემები შეიძლება ეწოდოს განვითარებულ აგრარულ საზოგადოებებს, რომლებიც ლოგიკურად უნდა განვრცობილიყვნენ მსოფლიოზე და შეექმნათ იმპერიები, ანუ მაკრო იმპერია-სისტემები.

თანამედროვე კაპიტალისტურ სისტემას ვალერშტაინი მიიჩნევს XVI საუკუნის განგრძობად, ვინაიდან ამ დროს ჩნდება ე.წ. პროტო-კაპიტალიზმის ნიშნები. ამ მიდგომის მიხედვით, შეუძლებელია კაპიტალისტური სისტემის იმგვარი არსებობა, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკურად განვითარებული საზოგადოებების გვერდით და მათი გავლენის ქვეშ არ იარსებებენ პერიფერიული და ნახევრად-პერიფერიული ქვეყნები. საერთაშორისო სისტემის არსებული მდგომარეობა წარმოდგენილია, როგორც განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოებების მიერ დანარჩენი მსოფლიოს ექსპლუატაციის მიზნით ფორმირებული სისტემა.

3. ფრენსის ფუკუიამა, "ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი"[3]. წიგნის წინამორბედმა სტატიამ სახელწოდებით "ისტორიის დასასრული?", რომელიც 1989 წელს ჟურნალ The National Interest-ში გამოქვეყნდა, მაშინათვე მიიპყრო ყურადღება. ავტორის შეხედულება, რომ იდეოლოგიებს შორის ლიბერალურმა დემოკრატიამ საბოლოოდ მოიპოვა ტრიუმფი და სწორედ მის მიხედვით მოუწევდა

[2] Wallerstein, I. The Modern World System (3 volumes). New York: New York Academic Press. 1974-1989.
[3] Fukuyama F. The End of History and the Last Man, The Free Press, 1992.

გლობალიზებულ კაცობრიობას ცხოვრება, საკმაოდ პოპულარულ და გავლენიან მოსაზრებად დამკვიდრდა სამეცნიერო-კვლევით საზოგადოებაში. სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ სახელმწიფოთა სოციო-კულტურულმა განვითარებამ კულმინაციას მიაღწია, რამაც იდეოლოგიურ დაპირისპირებას ობიექტური საფუძველი გამოაცალა. ამავე ტექსტში უსაფუძვლოდ ცხადდება კაცობრიობის მომავალთან დაკავშირებული პესიმისტური ხედვები. ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში არსებული კრიზისების, ომების და მასობრივი შიმშილის მთავარი გამომწვევი მიზეზი ავტორიტარიზმი, ცენტრალიზებული და სოციალისტური სისტემებია.

ნაშრომის ვრცელ ვერსიაში ფუკუიამა ლიბერალური ეკონომიკური მოდელის უპირატესობებზე ამახვილებს ყურადღებას. ავტორიტარული ქვეყნების წარმატებებს საბაზრო ეკონომიკის შენებაში ფუკუიამა საკმარისად დამაჯერებლად ვერ ხსნის და ცდილობს ფილოსოფიური წიაღსვლებით გვერდი აუაროს "აზიური ვეფხვების" ფენომენს.

ნაშრომის ერთ-ერთი ნაწილი ეთმობა ისტორიისა და კაცობრიობის მამოძრავებელი ფაქტორების განხილვას, სადაც ავტორი განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად თავისუფლებისადმი სწრაფვას მიიჩნევს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ფუკუიამა ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტურ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას და ორ ძირითად საფრთხეს გამოყოფს: 1. შეუთავსებლობა თავისუფლებასა და თანასწორობას შორის; 2. ლიბერალური დემოკრატიის პირობებში საკუთარი უპირატესობის განხორციელებისთვის არასაკმარისი სივრცის არსებობა.

4. რობერტ კოჰეინი და ჯოზეფ ნაი ნაშრომში "ძალაუფლების და ურთიერთდამოკიდებულების ხელახალი განხილვა"[4] ავითარებენ მოსაზრებას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობები გაცილებით უფრო

[4] Keohane, R. O., S. Nye, J. S. "Power and Interdependence revisited." International organization 41, no. 4: 725-753, 1987.

კომპლექსური გახდა. უსაფრთხოების და სახელმწიფოს თვითგადარჩენის მიზნით, სხვა სახელმწიფოებთან კონკურენციისას ხისტი ძალის გამოყენება აღარაა წამყვანი ფაქტორი. ფინანსური, საწარმოო და სხვა ინტერესთა ჯგუფები საერთაშორისო არენაზე აქტიურად ოპერირებენ, ხოლო მათ შორის წარმოშობილი საკითხების (მათ შორის, კონკურენციის საკითხის) გადაწყვეტაში სამხედრო ძალა აღარ ასრულებს მთავარ როლს. შედეგად მიიღება ე.წ. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებათა თეორია.

რობერტ კოჰეინი და ჯოზეფ ნაი მიიჩნევენ, რომ კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას შემდეგი თეზისები აჯამებს:

1. ტრანსნაციონალური აქტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა სახის არაფორმალური ტრანსნაციონალური კავშირები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ საკუთარი ინტერესების გატარებას, რაც ხშირ შემთხვევაში ერი-სახელმწიფოების ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდის;

2. ძალა და ძლიერება დივერსიფიკაციას ექვემდებარება და განისაზღვრება ცალკეული სფეროების მიხედვით.

3. ნაშრომში მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდაზე, რადგან გარკვეული თვალსაზრისით ისინი წარმოადგენენ პატარა ქვეყნების პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციის ასპარეზს. მათივე აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენს ე.წ. "საინფორმაციო რევოლუცია", საზოგადოებათაშორისი კონტაქტები, სამხედრო ძლიერების როლის შესუსტება, უსაფრთხოების საკითხების შედარებითი ნიველირება და სხვა.

ნაშრომში ასევე ხაზგასმულია განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატიებისა და სხვა დანარჩენ სახელმწიფოთა შორის განსხვავებები. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები არ არიან იმ ხარისხით ჩართულნი კომპლექსურ ურთიერთობებში. ამავდროულად უნდა გავითვალისწინოთ, რომ "ინფორმაციული

რევოლუცია" ჯერ კიდევ ახალი ფენომენია და მისი თანმდევი ეფექტების გაზრდა აუცილებლად გამოიწვევს საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლიან ცვლილებას.

5. იან შიეტჰონი (Yan Xuetong, 阎学通), "პოლიტიკური მმართველობა და ძალაუფლების გადანაწილება"[5]. საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორიის კრიტიკას და ალტერნატიულ ხედვას გვთავაზობს ჩინელი პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, რომელიც თავის სტატიაში მორალური რეალიზმის იდეას ავითარებს. მკვლევარი განიხილავს რეალიზმის თეორიაში არსებულ ხარვეზებს და გამოთქვამს მოსაზრებებს რეალიზმის სკოლის ცალკეული წარმომადგენლების თეორიულ ხედვებთან დაკავშირებით. სხვა საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრების მსგავსად, ეს ნაშრომიც ჰეგემონიის კრიზისის საკითხზეა ორიენტირებული, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ აღნიშნული სტატია ნაცვლად გლობალურ პოლიტიკაში ჰეგემონი სახელმწიფოს დომინანტობის საკითხისა, ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ შეუძლია ახალ აქტორს ჩაანაცვლოს ჰეგემონი სახელმწიფო. აღნიშნულ საკითხებს ავტორი მორალური რეალიზმის თეორიულ პრიზმაში განიხილავს.

ამავე სტატიაში ავტორი გვთავაზობს მორალური რეალიზმის უნივერსალურ მოდელს, რომელიც სამი განზომილებისგან შედგება: 1. ინდივიდუალური მორალი (Personal Morality); 2. სახელმწიფო მორალი (State Morality); 3. მსოფლიო მორალი (World Morality). ამ განზომილებებს ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს. იგი იზიარებს რეალიზმის სკოლის წარმომადგენლის, ჯონ მერშაიმერის ხედვას რომ ქვეყნებმა საერთაშორისო მორალური პრაქტიკა არ უნდა გაავრცელონ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით.

სტატიაში მორალური რეალიზმი წარმოჩენილია, როგორც რეალიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა. აღნიშნული თეორიის მიხედვით, სტრატეგიული ინტერესები განპირობებულია სახელმწიფოების სიძლიერით, ხოლო ლიდერთა ტიპები

[5] Yan, X. Political Leadership and Power Redistribution. The Chinese Journal of International Politics, 2016.

განსაზღვრავენ ეროვნული ინტერესების გატარებისთვის საჭირო სტრატეგიებს. ავტორი თავის სტატიაში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაში ჩინეთმა შესაძლოა შეცვალოს არსებული საერთაშორისო სისტემა, თუ მისი პოლიტიკური ძალისხმევა, როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე, დაფუძნებული იქნება სამართლიანობისა და მორალური პრინციპების ხედვებზე.

6. ჯოვანი არიგის და ბევერლი სილვერის "ქაოსი და მმართველობა თანამედროვე მსოფლიო სისტემაში"[6] - ეხება მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაციებს და იმას, თუ როგორი პოლიტიკური წესრიგი შეიძლება ჩამოყალიბდეს ამერიკის ჰეგემონობის დასრულების შემდეგ. ნაშრომში ავტორთა ჯგუფი ცდილობს შეისწავლოს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მსოფლიო სისტემის ტრანსფორმაციის ისტორიის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს გლობალური პროცესების პროგნოზები. ჯოვანი არიგის მიერ შემუშავებული ჰეგემონური ტრანზიციის სისტემური თეორია ნაშრომის თეორიულ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ავტორებმა ცალკეულ თავებში სხვადასხვა ისტორიული ეპოქების სისტემური შესწავლით შეძლეს წინა ტრანზიციასა (იგულისხმება ნიდერლანდურიდან ბრიტანულზე, ბრიტანულიდან აშშ-ის ჰეგემონიაზე გადასვლის პროცესი) და მიმდინარე პერიოდს შორის ლოგიკური კავშირისა და გარკვეული კანონზომიერებების იდენტიფიცირება. აღნიშნული ნაშრომი მთლიანად ემყარება ჰიპოთეზას, რომ ახალი სახელმწიფოს ჰეგემონიურ ძალად აღზევებას თან სდევს გარდამავალი პერიოდი, რომლის პირობებშიც სისტემა სტაბილიზირდება და ახალი წესრიგი მყარდება.

7. ჯონ მერშაიმერის „ტრაგედია დიდი ძალების პოლიტიკისა"[7] წარმოადგენს თავდასხმითი რეალიზმის სკოლის პოზიციას და ცდილობს აღნიშნული პოლიტიკური თეორიის პრიზმიდან გააანალიზოს მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები.

---

[6] Arrighi F. J., Silver B. J., Chaos and Governance in the Modern World System. Minneapolis: University of Minnesota Press, 1999.

[7] Mearsheimer, J. J. Tragedy of Great Powers, W.W. Norton & Company, 2001

მერშაიმერი წერს: “ყოველი სახელმწიფოს მთავარი მიზანი მსოფლიო სისტემაში თავისი წილი ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდაა, რაც ნიშნავს ძალაუფლების მოპოვებას სხვა სახელმწიფოების ხარჯზე”. მაშასადამე დიდი ძალები ყოველთვის მზად არიან თავდასხმისთვის.

მერშაიმერის აზრით, აღნიშნულ პოლიტიკას სამი ფაქტორი განაპირობებს: 1. არ არსებობს არავითარი ზემდგომი ძალა საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელიც განსაზღვრავს ჰეგემონ ქვეყნებს შორის ურთიერთობას. 2. დიდ სახელმწიფოებს ყოველთვის გააჩნიათ შეტევითი სამხედრო შესაძლებლობები. 3. სახელმწიფო ვერასდროს ვერ იქნება დარწმუნებული მეორე სახელმწიფოს განზრახვებში. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, კონკრეტული ქვეყანა მუდმივად ეცდება ძალაუფლების აკუმულაციას და თავდასხმითი პოლიტიკის წარმოებას, სანამ მას ამის შესაძლებლობა აქვს.

მერშაიმერი აღნიშნულ ნაშრომში საუბრობს, აგრეთვე, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის არსზე. მისი აზრით, ყოველი სამეცნიერო თეორია უნდა აღწერდეს რეალობას და თავდასხმითი რეალიზმი წარმოადგენს ისეთ თეორიას, რომელიც რეალობას ყველაზე ადეკვატურად ხსნის, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინების საფუძველზე.

ავტორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ თეორიას უნდა შეეძლოს მოვლენების განჭვრეტა, რაც ურთულესი გასაკეთებელია და ხშირად მკვლევარი მის რეპუტაციასაც აგდებს საფრთხის ქვეშ, რადგან მომავლის ნებისმიერი პროგნოზი მოითხოვს მრავალი ასპექტის გათვალისწინებას, რომელთა გათვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა, მერშაიმერის აზრით, მიუხედავად ზემოთაღნიშნული სიძნელეებისა, მეცნიერი არ უნდა შეიზღუდოს პროგნოზების გამოთქმაში.

8. ჯონ მერშაიმერის “დიდი ილუზია: ლიბერალიზმის ოცნებები და საერთაშორისო რეალობები”[8] აღწერს ლიბერალიზმის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ხედვის ძირითად იდეებს და მათ შეზღუდვებს. წიგნს

[8] Mearsheimer, J. J. The great delusion: Liberal dreams and international realities. Yale University Press, 2018.

მაგისტრალურ აზრად გასდევს, რომ ლიბერალური ჰეგემონია ამბიციური პროექტია, რომელიც დეკლარირებულად გულისხმობს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და საერთაშორისო ინსტიტუციების დახმარებით ლიბერალიზმის ექსპორტს მაქსიმალურად ბევრ სახელმწიფოში. ლიბერალიზმზე ქვეყნების "მოქცევის" ერთადერთ საშუალებად კი ლიბერალური იდეებისა და ღირებულებების გავრცელება მოიაზრება.

ლიბერალიზმის მთავარი დაპირება საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობის შენარჩუნება იყო, რადგან მოიაზრება, რომ ლიბერალური სახელმწიფოები ერთმანეთთან არ ომობენ. ლიბერალიზმი არამხოლოდ ლიბერალური სახელმწიფოებს შორის მსოფლიო მშვიდობისკენ მიისწრაფვის, არამედ ავტორიტარულ სახელმწიფოებთან ბრძოლით და დემოკრატიის ექსპორტით, პირდაპირ იცავს ლიბერალურ წესრიგს საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებში. სხვა სიტყვებით, გარეთ ლიბერალიზმის სახელით ავტორიტარიზმთან ბრძოლა, არამარტო იდეოლოგიის განვრცობას ემსახურება, არამედ შიდა პოლიტიკის დაცვასაც, სადაც არალიბერალური ტენდენციები პერიოდულად შემოედინება და ძლიერდება.

მერშაიმერის აზრით, ლიბერალიზმის იდეალისტური დაპირებები არ ითვალისწინებს რეალობას, რადგან რეალურ მოცემულობაში სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი თვითგადარჩენის ინსტინქტია. შესაბამისად, თუმცა ლიბერალები თვლიან, რომ ლიბერალიზმის გავრცელება გამართლებულია როგორც მორალურ, ასევე სტრატეგიულ ჭრილში, რეალობაში ლიბერალური ჰეგემონიის პროქტი ლიმიტირებული და დასაზღვრულია, რაც ყველაზე უკეთ ჩანს, როდესაც ლიბერალიზმის ექსპორტის პროცესში ვეჯახებით საერთაშორისო ურთიერთობების ძალაუფლებრივ ლოგიკასა და რეალპოლიტიკას.

ნებისმიერი სახის წესრიგში - იქნება ეს ბიპოლარული თუ მულტიპოლარული - არსებობს იმის საფრთხე, რომ ერთი სახელმწიფო მეორეს თავს დაესხმება. ემპირიაზე დაკვირვებისას, ამას ლიბერალიზმის აპოლოგეტებიც ხედავენ, ამიტომ

ისინი საუბრობენ, როგორც ლიბერალები და იქცევიან, როგორც რეალისტები: ხვდებიან რა, რომ საგარეო პოლიტიკის ლიბერალიზმის პრინციპებით წარმართვა არსებითად წამგებიანია, სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვისას რეალიზმის ლოგიკას ეყრდნობიან.

9. ჰენრი კისინჯერის „მსოფლიო წესრიგი“[9] დაფუძნებულია კისინჯერის აკადემიურ და პოლიტიკურ გამოცდილებაზე. ეს ნაშრომი დღესაც წარმოადგენს აქტიური განხილვის საგანს აკადემიურ წრეებში, რადგან პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, შესაძლებელია თუ არა მსოფლიო წესრიგის დამყარება არა ძალით, არამედ „ლეგიტიმურობის“ მეშვეობით.

ნაშრომის დასაწყიში კისინჯერი საუბრობს „უნიკალურ ევროპულ წესრიგზე“, რომელიც, თავის მხრივ, სათავეს იღებს ე. წ. „ვესტფალიის წესრიგიდან“. კისინჯერი აცხადებს, რომ 1648 წელს დამყარებული სისტემა წარმოადგენს მთლიანი საერთაშორისო ურთიერთობების ქვაკუთხედს.

ვესტფალიური სისტემა მთელ მსოფლიოში გავრცელდა, როგორც სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო წესრიგის „ჩარჩო“, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა ცივილიზაციებსა და რეგიონებს, თუმცა მას მთელი რიგი სისუსტეები გააჩნდა, რადგან არ გვთავაზობდა რაიმე ტიპის ორიენტირებს. ამასთანავე, ამ სისტემის განვითარებაში არ მონაწილეობდნენ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების მქონე უდიდესი აქტორები: რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, შეერთებული შტატები და ისლამური სამყარო.

კისინჯერს ასევე მიაჩნია, რომ 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

შემდგომ ავტორი ეხება ეხება ახლო აღმოსავლეთს და ისლამიზმს. ასევე ყურადღება გამახვილებულია აშშ-ის და ირანის ურთიერთობებზე. იმის მიუხედავად, რომ კისინჯერი აღწერს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ

[9] კისინჯერი, ჰ. მსოფლიო წესრიგი. თბილისი: გამომცელობა “ინტელექტი”, 2021.

მდგომარეობას, როგორც „ქაოსს“, ის მოუწოდებს აშშ-ს დაამყაროს ურთიერთობები ირანთან, რათა ამ რეგიონში დამყარდეს წესრიგი მათი საერთო ძალებით.

ნაშრომის ორი თავი ეძღვნება აშშ-ს. კისინჯერის თქმით, თუმცა აშშ წარმოადგენს „ორაზროვან“ სუპერსახელმწიფოს, ის მაინც „მოქმედებს კაცობრიობის სასიკეთოდ“.

დასასრულს, ავტორი აღწერს მის პირად იდეებს ტექნოლოგიებზე, ძალთა წონასწორობაზე, ადამიანის გონებასა და ატომურ იარაღზე. კისინჯერს მიაჩნია, რომ მომავალში მთავარ საფრთხედ შეიძლება ტექნოლოგიები მოგვევლინოს, მაგრამ ამ მომენტისთვის უმთავრესი საფრთხე ატომური იარაღია.

საინტერესოა, კისინჯერის ხედვები რუსეთის და ჩინეთის შესახებ. რუსეთი, კისინჯერის აზრით, თამაშობს უნიკალურ როლს საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებში: როგორც ევროპასა და აზიაში ძალთა ბალანსის ნაწილმა, მან ხელი შეუწყო წონასწორობისა და წესრიგის უზრუნველყოფას. ხოლო ჩინეთის აღზევებას ის განიხილავს, როგორც „Zero sum game”-ს და ასახელებს მას მთავარ საფრხედ მსოფლიო წესრიგის დამყარების გზაზე.

რატომ არ განიხილავს ავტორი ჩინეთთან თანამშრომლობას და მხოლოდ დაპირისპირებას ხედავს, ანდა რატომ არ განიხილება რუსეთი ისეთივე საფრთხედ, როგორც ჩინეთი? ამ კითხვებზე ნაშრომი არ პასუხობს.

კისინჯერის „მსოფლიო წესრიგი“ უფრო მეტად არის კონცენტრირებული სახელმწიფოებზე, ვიდრე ტრანსნაციონალურ წარმონაქმნებზე. კისინჯერი თითქმის არ განიხილავს „არასამთავრობო“ სექტორს და ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებსა თუ კორპორაციებს, რომლებიც უდავოდ მონაწილეობენ ამ წესრიგის ჩამოყალიბებაში, მაგრამ აქტიურად განიხილავს ტერორისტული ორგანიზაციების როლს მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში.

კისინჯერი აზრით, მსოფლიო წესრიგი მოიაზრებს რეგიონალურ წესრიგებს. აქედან ერთ-ერთი არის „აზიური წესრიგი“, რომელიც განსხვავდება ევროპული წესრიგისაგან იმით, რომ მასში არ არსებობს „ტერიტორიული სუვერენიტეტის მქონე

ქვეყანათა ბალანსი“, რომლებიც აღიარებენ ერთმანეთის თანასწორობას. ამ რეგიონში მსგავსი ბალანსის არ არსებობა განპირობებულია რეგიონის ფართო გეოგრაფიით და რიგი რელიგიური, კულტურული, ფილოსოფიური დინებებით. ავტორი იუწყება, რომ აზიაში არსებობს „ფსიქოლოგიური პარტნიორობის“ კონცეფცია, რომელიც არ ეყრდნობა ძალთა ბალანსს, რაც არის სახიფათო, რადგან იქ გაბატონებული სისტემა მარტივად შეიძლება დაინგრეს. ამის მიუხედავად, ავტორი არ გვეუბნება, თუ როგორი სახის ბალანსი და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ამ რეგიონში.

კისინჯერის მიერ „მსოფლიო წესრიგში“ გადმოცემული მოსაზრებები ძირითადად „რეალიზმს“ ეყრდნობა. კისინჯერის თქმით, მომავალი მსოფლიო წესრიგი იქნება დამყარებული „ძალთა ბალანსზე“ და „ნაციონალურ ინტერესებზე“.

10. ჯოზეფ ნაი თავის ნაშრომში „რბილი ძალა: წარმატების მიღწევის საშუალება მსოფლიო პოლიტიკაში“[10] სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფის ეფექტურ ინსტრუმენტად „რბილი ძალის“ პოლიტიკას განიხილავს.

„რბილი ძალა“ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში გამოყენებადი ცნებაა, რომელიც ჰარვარდის პროფესორმა, ნეოლიბელარული სკოლის წარმომადგენელმა, ჯოზეფ ნაიმ განავითარა. აღნიშნული ძალის საპირისპირო, უფრო ტრადიციულ ცნებას „ხისტი ძალა“ წარმოადგენს, რომელიც ისეთი ბერკეტების აქტიურად გამოყენებას გულისხმობს, როგორიცაა სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება.

ნაის აზრით, „რბილი ძალა“ არის უნარი, მიიღოთ ის, რაც გსურთ, მიზიდულობის გზით, რომელიც წარმოიქმნება ქვეყნის კულტურის, პოლიტიკური იდეალებისა და პოლიტიკის მიმზიდველობიდან, და არა იძულებით. სწორედ ამიტომაა „რბილი ძალა“ ეფექტური.

ავტორის აზრით, „რბილი ძალის“ წყარო შეიძლება სამ კომპონენტს მოიცავდეს:

[10] Nye, J. S. Soft Power: The Means to Success in World Politics. New York: Public Affairs, 2004.

1. კულტურა, როგორც პრაქტიკისა და ღირებულებების ერთიანობა, რომელმაც შეიძლება შექმნას მიმზიდველობა.

2. პოლიტიკური ღირებულებები. ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა და ტრადიციული ღირებულებები და მათი რეალიზება საშინაო და საგარეო ასპარეზზე;

3. საგარეო პოლიტიკა, რომელიც უნდა იყოს სანდო, ლეგიტიმური და გამოირჩეოდეს მორალური ავტორიტეტის მაღალი დონით.

„რბილი ძალის“ პოლიტიკის გატარების კარგ მაგალითად ნაის აშშ მოჰყავს, რომელიც მსოფლიოსთვის თავისი კულტურითა და ფასეულობებითაა მიმზიდველი. თუმცა აქვე ნაი აღნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ, ერაყში განცდილმა მარცხმა აშშ არაპოპულარული გახადა და მის „რბილ ძალას“ საფრთხე შეუქმნა.

ნაი აღნიშნავს, რომ „რბილი ძალა“ შედარებით ნელი მოქმედებისაა, თუმცა შედეგი შთამბეჭდავი აქვს. ამის საილუსტრაციოდ იგი ჩინეთის მაგალითს იშველიებს.

ნაშრომში გამოკვლეულია ძალაუფლების ცვალებადი კონტექსტი და ის მიზეზები, თუ რატომ ხდება რბილი ძალა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ეს წარსულში იყო. განხილულია ამერიკული რბილი ძალის წყაროები ამერიკულ კულტურაში, საშინაო ღირებულებები, პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკის შინაარსი და სტილი. ნაი მიუთითებს, რომ ამერიკელები არ არიან ერთადერთი, ვისაც რბილი ძალა აქვს და საკმაო ადგილს უთმობს სხვა ერების და არასახელმწიფო აქტორების რბილი ძალის განხილვას. ასევე მას მოჰყავს პრაქტიკული მოცემულობები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ რბილი ძალა საჯარო დიპლომატიის მეშვეობით და დასკვნის სახით აჯამებს, თუ რას შეიძლება წარმოადგენდეს ეს ყოველივე შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისთვის ერაყის ომის შემდგომ პერიოდში.

ავტორს ნაშრომში მოჰყავს აშშ-ის მთავრობის სტატისტიკური მაჩვენებლები, სადაც ჩანს, რომ აშშ-ის მთავრობა 400-ჯერ მეტს ხარჯავს ხისტ ძალაზე, ვიდრე რბილ ძალაზე. ნაის მიაჩნია, რომ მიმდინარე გამოწვევებს მხოლოდ სამხედრო ძალა ვერ

დაუპირისპირდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამერიკელებმა და სხვებმა უკეთ გაიგონ და გამოიყენონ რბილი ძალა.

ჭკვიანი ძალა არ არის არც ხისტი და არც რბილი, იგი ორივე ძალის კომბინირებული ნაერთია, თვლის ჯოზეფ ნაი.

11. ზბიგნევ ბჟეზინსკის „დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები“[11] გამოცემიდან მცირე პერიოდში გახდა პოპულარული აკადემიური ნაშრომი პოლიტიკურ მეცნიერებებში. ავტორს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ევრაზიის კონტინენტზე თითქმის არც ერთი გეოპოლიტიკური ნიუანსი თუ პერიპეტია. წიგნის ერთგვარი მიზანია, ერთი მხრივ, დაასაბუთოს შეერთებული შტატების მრავალწლიანი ჰეგემონობის შენარჩუნება, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოაჩინოს ის საფრთხეები და დაბრკოლებები, რამაც შეიძლება აშშ-ის ჰეგემონობას შეუქმნას საფრთხე ევრაზიაში, იქნება ეს კოალიციები თუ ცალკეული სახელმწიფოები.

წიგნი ამავდროულად სარეკომენდაციო ხასიათისაა, იმ თვალსაზრისით, რომ იგი აშშ-ს მიუთითებს, თუ როგორი ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური მანევრები განახორციელოს ევრაზიის კონტინენტზე წარმოდგენილი აქტორების მიმართ. ევროპულ ნაწილში ავტორი ძირითადად მოთამაშეებად მოიაზრებს რუსეთს, საფრანგეთსა და გერმანიას; აზიურ ნაწილში - ჩინეთსა და იაპონიას. რაც შეეხება რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს (აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის და სამხრეთ აზიის) - მათ პაიკებად მოიხსენიებს ამერიკის გეოპოლიტიკურ თამაშში.

ავტორი მიიჩნევს, რომ აშშ-მა უნდა გამოიყენოს თავისი სიძლიერე კომუნიკაციების, ფინანსების, ვაჭრობის, ტექნოლოგიების სფეროში, იმისათვის, რომ თვალი ადევნოს ევრაზიის გეოპოლიტიკურ სპექტრს. აშშ უნდა იქცეს სტაბილური თანაფარდობის შემქმნელად და გამოვიდეს არბიტრის როლში.

---

[11] ბჟეზინსკი, ზ. დიდი საჭადრაკო დაფა: ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები. თბილისი: გამომცემლობა “არტანუჯი”, 2014.

ბჟეზინსკი თვლის, რომ ამერიკულმა უპირატესობამ შექმნა ახალი საერთაშორისო წესრიგი, რომელიც მოიცავს შემდეგ მომენტებს: კოლექტიური უსაფრთხოების სისტემები; რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა; რუდიმენტული გლობალური კონსტიტუციური და დემოკრატიული სტრუქტურა და სხვა.

ბჟეზინსკი მიიჩნევს, რომ ევრაზია წარმოადგენს საჭადრაკო დაფას, სადაც გრძელდება ბრძოლა გლობალური ჰეგემონობისთვის. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამერიკა უნდა იყოს გლობალური ლიდერი და განაგრძოს ევრაზიის გეოპოლიტიკის ზედამხედველობა. მან ევრაზია დაყო ოთხ განსხვავებულ რეგიონად და განიხილა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესაძლო მიმართულებები ამ რეგიონების მიმართ, თავისი გლობალური დომინირების შესანარჩუნებლად.

ავტორს ნაშრომში შემოაქვს გეოსტრატეგიულად მოქმედი პირებისა და გეოპოლიტიკური ცენტრების ცნებები. გეოსტრატეგიულად აქტიური მოქმედი პირები ის სახელმწიფოებია, რომლებსაც აქვთ უნარი ან ეროვნული ინტერესები შეცვალონ არსებული გეოპოლიტიკური მოცემულობა იმგვარად, რომ ეს ამერიკის ინტერესებზე აისახოს. გეოპოლიტიკური ცენტრები ისეთ სახელმწიფოებია, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობა და პოტენციურად მოწყვლადები არიან იმ მოქმედებების მიერ გამოწვეული შედეგების მიმართ, რომლებიც გეოსტრატეგიულად მოქმედი პირების მხრიდან შეიძლება განხორციელდეს.

ბჟეზინსკი რუსეთის ევროპულ და ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხსაც განიხილავდა. იგი მიიჩნევდა, რომ რუსეთი მყარად უნდა დაერწმუნებინათ, რომ მისთვის ღიაა ევრო-ატლანტიკური კარი.

ბჟეზინსკის შემოაქვს ,,ევრაზიული ბალკანეთის" კონცეფციაც, სადაც იგი აერთიანებს ცხრა ქვეყანას (ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ავღანეთი). ამ სიაში პოტენციურ ჩასამატებლად მოიაზრებს ასევე თურქეთსა და ირანს.

ბჟეზინსკი მიიჩნევს, რომ აშშ-თვის მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს იაპონიასთან. აგრეთვე აუცილებელია ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩინეთთან, რომელიც აშშ-ს ბუნებრივ მოკავშირედ უნდა იქცეს.

12. ქეთევან ჯიჯეიშვილის და გიორგი ჩხიკვიშვილის ნაშრომში „მსოფლიო პოლიტიკა“[12] განხილულია უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური მეცნიერების სფეროში წამყვან ამერიკელ და ევროპელ მეცნიერთა მიერ შემუშავებული თეორიები და მიდგომები, რომლებიც მიზნად ისახავენ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ახსნას. გაანალიზებულია მსოფლიო პოლიტიკის პრობლემები, თანამედროვე პოლიტიკური სტრუქტურის თავისებურებანი. მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში განხილულია ქართული სახელმწიფოს ადგილი მსოფლიოში და მისი ძირითადი გამოწვევები.

ნაშრომში განხილულია ზოგადად პოლიტიკის მეცნიერების საგანი და მისი ურთიერთმიმართება სხვა დისციპლინებთან. ყურადღებაა გამახვილებული ტერმინთა დაზუსტებასა და მათ განმარტებაზე, პოლიტიკის სფეროში ფართოდ გავრცელებული ანალიზის დონეებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებაზე და მნიშვნელოვან როლზე საკვლევი საგნის საფუძვლიანად შესწავლისთვის.

პოლიტიკის საგნის მიმოხილვისა და შეფასებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ასპარეზზე არსებული თეორიული და იდეოლოგიური მდგენელების შეფასება. ამ კუთხით ნაშრომი გვთავაზობს ისეთ თეორიულ მიდგომებს, როგორიცაა: რეალიზმი და ნეორეალიზმი, ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი, ნეომარქსიზმი და პოსტმოდერნიზმი.

საერთაშორისო სცენაზე არსებული აქტორების ურთიერთკავშირებს და საერთო პრინციპების მიმართ ერთგულებას დიდი როლი აკისრია გლობალურ პოლიტიკაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც აქტორთა შორის შეუთანხმებლობა მთლიანი სისტემის რყევებს იწვევს და მასში შემავალ სუბიექტებზე დიდ გავლენას

[12] ჯიჯეიშვილი, ქ., ჩხიკვიშვილი, გ. მსოფლიო პოლიტიკა. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018.

ახდენს. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მოცემულ რეალობაზე და მიმოიხილავენ თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში შემავალი აქტორების - როგორც სახელმწიფოთა, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების - როლს, მათ ინტერესებს და პოლიტიკური სტრუქტურის ფორმირების პროცესს არსებულ აქტორთა სიმრავლის გათვალისწინებით.

ნაშრომში მკაფიოდაა წარმოდგენილი გლობალიზაციის არსი და მისი განმარტების თავისებურებები. ნაშრომის ფარგლებში შემოთავაზებულია "გლობალიზაციის" არა უნიფიცირებული, არამედ რამდენიმე განმარტება, რომელიც თავად გლობალიზაციის პროცესს არაერთგვაროვნად წარმოაჩენს. ავტორების მიერ მიმოხილულია გლობალიზაციის კონცეფცია და მასთან დაკავშირებული 3 ძირითადი ტენდენცია: 1. ჰიპერგლობალისტები; 2. სკეპტიკოსები; 3. ტრანსფორმაციონისტები. ავტორები აღწერენ გლობალიზაციისთვის დამახასიათებელ ძირითად ასპექტებს და მიუთითებენ, რომ გლობალიზაცია ლოკალური და გლობალური რეალიების მჭიდრო თანხვედრის პროცესია, რომელიც ლოკალური სივრცის დახმარებით რეალიზდება.

ავტორები ყურადღებას "ცივი ომის" შემდგომ მსოფლიო წესრიგის სტრუქტურის ცვლილებასაც უთმობენ და სადისკუსიოდ უნილატერალიზმისა და მულტილატერალიზმს შორის დებატებს წარმოგვიდგენენ, რომელთა გაანალიზების პროცესში მსოფლიო პოლიტიკური სისტემის საინტერესო პალიტრა იშლება.

ავტორები ასევე ეხებიან ისეთ თემებს როგორიცაა: თანამედროვე კონფლიქტები და მათი თავისებურებები, საერთაშორისო უშიშროების გამოწვევები, ტერორიზმი და ნაციონალიზმის საკითხები, ჰუმანიტარული ინტერვენცია, გლობალური პოლიტიკური პროცესები და საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში.

ავტორთა აზრით, რაც უფრო დიდია ინტერესების დამთხვევის ზონა, მით უფრო შესაძლებელია ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მოძიება. მხარეთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად ეს ზონა მცირდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ

მცირდება შეთანხმების მიღწევისადმი დაინტერესება. გლობალური საფრთხის არსებობამ შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვანი გახადოს ინტერესების სხვაობა.

13. ემზარ ხვიჩიას "ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო"[13] – ნაშრომში ნათლადაა გამოკვეთილი გლობალიზებულ მსოფლიოში საქართველოს როლისა და ფუნქციის ძიების პრობლემატიკა. ავტორი მისივე შემუშავებული სამეცნიერო აპარატით ასაბუთებს საქართველოს უნიკალურ ნიშას მსოფლიო პოლიტიკაში. ავტორი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ მდგომარეობას და წამყვან კონცეფციებს. იგი ასკვნის, რომ ძველი პარადიგმები, რომელთა საზღვრებშიც დღეს მსოფლიო სისტემაა მოწყობილი, ანაქრონული და არაოპტიმალურია. მაშასადამე, საჭიროა, მსოფლიოს ახლებური მოწყობა და კაცობრიობის განვითარება ნოოლოგიით დადასტურებულ ოპტიმალურ მოდელს დაეფუძნოს, რასაც თავად ავტორი "ოპტიმალიზმის დოქტრინას" უწოდებს, და გამოსავალს ამ დოქტრინის ინიციირების შესაძლებლობაში ხედავს.

14. ემზარ ხვიჩიას "ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები"[14] – ნაშრომი საკმაოდ კომპლექსური და მასშტაბურია. იგი მოიცავს ისეთ სამეცნიერო დისციპლინებს, როგორებიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ისტორია, კულტუროლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლი-ტოლოგია, სოციოლოგია და სხვა. თუმცა ჩვენთვის, როგორც პოლიტიკის მეცნიერების მკვლევართათვის, საინტერესო და მნიშვნელოვანია კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის პოლიტიკური მიმართულებით მიღებული შედეგების და დასკვნების გაანალიზება, რომელიც ავტორის თითქმის ოცდაათწლიანი შრომის და კვლევა-ძიების უწყვეტი პროცესის შედეგია. ნაშრომში ე. ხვიჩია ახერხებს ძველი პარადიგმებისა და

---

[13] ხვიჩია, ე. ინფორმაციული ცივილიზაცია გლობალიზებულ სამყაროში და საქართველო. წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2012.

[14] ხვიჩია, ე. ნოოლოგია: თვითკმარი არსებობის ლოგიკა - საზოგადოების თვითორგანიზაციისა დამდგომარეობის ცვლის კანონები. გამომცემლობა ახალი პარადიგმა, თბილისი, 2020.

თეორიების არაოპტიმალურობის დამტკიცებას და გვთავაზობს კაცობრიობის განვითარებისა და გლობალური პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალურ ვარიანტს. საინტერესო გახლავთ აგრეთვე წიგნის სტრუქტურაც: მასში წააწყდებით ნოოლოგიის მათემატიკურ მოდელირებას, რაც სიახლესა და თეორიის პოტენციალის ათვისების ახალ საფეხურს წარმოადგენს.

კვლევის თეორიული საფუძვლები

კვლევის თემატიკისა და საკვლევი საკითხების გათვალისწინებით, აუცილებლად მივიჩნიეთ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიების და სხვადასხვა სკოლების მიერ შექმნილი კონცეფციების მიმოხილვა და მათი ანალიზი. შესაბამისად, სწორედ ეს თეორიები დაედო საფუძვლად გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი აქტორებისა და ჩიხური მდგომარეობის განხილვის პროცესს.

სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ და ფართოდ გავრცელებულ რეალიზმის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლის წიაღში აღმოცენებულ **ძალთა ბალანსის თეორიას**, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულ ბუნებაზე აკეთებს ძირითად აქცენტებს.

საკვლევი თემის დამუშავების პროცესში, ასევე, გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის სკოლის ფუძემდებლის ალექსანდრ ვენდტის მიერ შექმნილი **საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია**, რომლის მიხედვით სახელმწიფოთა პოლიტიკას და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს უპირველესად იდეები და სოციალური კონსტრუქციები განაპირობებენ.

დისერტაციაში მიმოხილულია ისეთი თეორიები, როგორიცაა სემუელ ჰანტინგტონის **"ცივილიზაციათა შეჯახება"** და ფრენსის ფუკუიამას **ისტორიის დასასრულის კონცეფცია,** რომლებიც მსოფლიო სისტემის შესაძლო განვითარების სცენარებს გვთავაზობენ.

კვლევის დასასრულს სიღრმისეულად არის განხილული ემზარ ხვიჩიას შექმნილი **კვანტური რელატივისტური ნოოლოგია** (შემდეგში - ნოოლოგია),

რომელიც გვთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემურ, საფუძვლიან ანალიზს. კვლევა ეყრდნობა პიროვნების, ერის და ცივილიზაციის აქამდე საკამათო და ნოოლოგიის თეორიული აპარატით დაზუსტებულ ცნებებს და ფუნდამენტურად ცვლის აქამდე არსებულ თეორიათა განმარტებებს შესაბამის საკითხებზე.

კვლევის მეთოდები

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომზე ორი მიმართულებით წარიმართა მუშაობა. კვლევის პირველი ეტაპი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიების სიღრმისეული ანალიზი გახლდათ, ხოლო მეორე ეტაპი პრაქსისის, მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებისა და პროცესების ანალიზს დაეთმო.

ვინაიდან ნაშრომის მიზანი გლობალური პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პრობლემებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიების ხარვეზების გამოვლენა და განხილვაა, აუცილებლად მივიჩნიეთ უკვე არსებული რელევანტური ლიტერატურის შესწავლა. ასევე, განვიხილეთ და შევისწავლეთ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები, სტრატეგიები თუ კონცეფციები, რამაც საშუალება მოგვცა საკვლევი თემის შესახებ მოგვეპოვებინა ვალიდური და სიღრმისეული ინფორმაცია. მონაცემთა შეგროვების მიმართულებით ჩატარებული სამუშაოს შედეგად შესაძლებელი გახდა რელევანტური ინფორმაციის მოპოვება-დახარისხება და ისტორიული ანალიზის მეშვეობით მოვლენათა კლასიფიკაცია.

მოპოვებული მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის შემდეგი მეთოდები: ისტორიულ-აღწერილობითი ანალიზი; შედარებითი ანალიზი; პოლიტიკის კვლევის ანალიზი; კონტენტ-ანალიზი; ქეის-სთადი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო თემის ფარგლებში ჩატარებული კვლევა-ძიებისა და სიღრმისეული ანალიზის შედეგად ნაშრომის ფარგლებში დადგინდა, რომ ძველი

პარადიგმები სიღრმისეულად ვერ აღწერენ გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს და ვერ გვთავაზობენ პრობლემის გადაჭრის დასაბუთებულ და ოპტიმალურ მოდელს. ამ მხრივ, მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ახალი ლოგიკურ-კონცეპტუალური აპარატი კვანტური რელატივისტური ნოოლოგია და მისი გამოყენებით სრულიად ახლებური თეორიულ-კონცეპტუალური ანალიზის ჩატარება. ამავდროულად, კვლევის ფარგლებში კიდევ ერთხელ გამოვლინდა საერთაშორისო სისტემაში აღიარებული თეორიების ნაკლოვანი ბუნება, ვინაიდან ეს თეორიები უმეტეს შემთხვევაში არიან კონკრეტულ რეგიონზე ან ქვეყანათა ჯგუფზე ორიენტირებული (ევროცენტრული, სინოცენტრული თეორიები). კვლევის ფარგლებში სიახლეს წარმოადგენს ამ ფაქტის დასაბუთება მეცნიერული და კვლევითი მეთოდებით.

საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის ჩამოყალიბებისა და კვლევის პროცესში საერთო თეორიის შემუშავების არაერთი მცდელობა ყოფილა. თუმცა, ამ დრომდე ვერ ხერხდება დისკუსიის მეცნიერულ ჭრილში გადატანა და მკვლევრები რჩებიან იდეოლოგიურ-ნორმატიულ დისკუსიებში, რაც კიდევ უფრო მეტად აშორებს საერთაშორისო ურთიერთობებს მეცნიერებად ჩამოყალიბებისაგან. კვანტური რელატივისტური ნოოლოგია სწორედ რომ მეცნიერულად დასაბუთებული თეორიაა და მასზე დაფუძნებული ოპტიმალიზმის დოქტრინა ახალი სიტყვაა საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის დარგში, რადგან იძლევა მრავალმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ერთმანეთთან დაპირისპირებული აქტორების და იდეოლოგიების ურთიერთთანხმობის მიღწევის საშუალებას.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

საერთაშორისო ურთიერთობების კრიზისებსა და გამოწვევებზე შექმნილ ნაშრომებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგის განვითარებისა და გლობალური პოლიტიკური პროცესების მეცნიერული გზით შესწავლის საკითხებში. სადისერტაციო ნაშრომს ანგარიშგასაწევი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მის ფარგლებში გაანალიზდა სხვადასხვა საერთაშორისო

ურთიერთობების სკოლების თეორიები, დამუშავდა თემასთან დაკავშირებული არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი, სტატია, მონოგრაფია თუ სხვა სახის პუბლიკაცია და, რაც მთავარია, ნაშრომში შემოთავაზებულია გლობალური პოლიტიკური კრიზისის ჩიხიდან თავის დაღწევის მეცნიერულად დასაბუთებული ოპტიმალური გამოსავალი. კვლევის თეორიული მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ახალი თეორიული მიდგომის შემუშავებას, რომელიც გადაიაზრებს აქამდე არსებულ კლასიკურ თუ მოდერნისტულ თეორიებსა და კონცეფციებს და, ამავდროულად, შემოიტანს ახალ მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მიმართულებით. წინამდებარე ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება სამეცნიერო-საუნივერსიტეტო სივრცესა და დიპლომატიას. სადისერტაციო თემის ფარგლებში წარმოებული კვლევისა და მისი შედეგების გამოყენება შესაძლებელია სწავლების პროცესში, ისევე როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება თავფურცლის, ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, 10 ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. სულ 179 გვერდი.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში გადმოცემულია თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემა, თემის მიზნები და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზა, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის თეორიული საფუძვლები, კვლევის მეთოდები, ნაშრომის სამეცნიერო სიახლეები, თემის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

თავი I. გლობალური პოლიტიკური ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ისტორიული პერიოდიზაცია (1.1. საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები; 1.2. ჰეგემონიის ციკლები და ისტორიული პერიოდიზაცია; 1.3. ბიპოლარული მსოფლიო წესრიგი და ძალთა ბალანსი)

ბოლო პერიოდში საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე გლობალურმა ცვლილებებმა და კონფლიქტებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ საერთაშორისო ანარქიული სისტემის პირობებში, გლობალურ აქტორებს შორის კვლავაც მყარია აზრთა სხვადასხვაობა მთელ რიგ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მსოფლიოს უსაფრთხოებას და განვითარებას აბრკოლებს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ განგვეხილა და გაგვეანალიზებინა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ძირითადი სკოლების თეორიული მიდგომები და პოსტულატები. აგრეთვე, წარმოვაჩინეთ ამ თეორიების ნაკლოვანებები. სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი თეორიები, როგორებიცაა: რეალიზმი, ნეორეალიზმი, ლიბერალიზმი, მარქსიზმი, ნეომარქსიზმი და კონსტრუქტივიზმი.

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის პროცესში მეცნიერები და დარგის სპეციალისტები სამართლიანად გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ

ისტორიის მანძილზე ყოველ ეპოქას სხვადასხვა ჰეგემონი ჰყავდა. აღნიშნული ფაქტი, ბუნებრივია, აჩენს შემდეგ შეკითხვას: ხომ არ ექვემდებარება ეს პროცესები რაიმე ციკლურობას და ხომ არ შეიძლება ამ პროცესების პროგნოზირება? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სამეცნიერო სივრცეში არსებული ჰეგემონიის ციკლების შესწავლა და მათი ანალიზი.

გლობალური პოლიტიკური პროცესების სისტემურად შესწავლის მიმართულებით გამორჩეული ადგილი უკავია ისტორიკოს ფერნან ბროდელს, რომელმაც გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით გაანალიზა ისტორიული პროცესები და ამით მსოფლიო სისტემების თეორიას ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნულმა თეორიამ შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი განვითარება პოვა ისეთი მეცნიერების შრომებში, როგორებიც არიან: ნიკოლაი კონდრატიევი, ჯორჯ მოდელსკი, ქუინსი რაიტი, ჯოშუა გოლდშტეინი, ჯოვანი არიგი და სხვა. ხსენებული ავტორების შრომების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მკვლევართა შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია იმის შესახებ, თუ რომელი პერიოდი უნდა ჩაითვალოს მსოფლიო სისტემების წარმოშობის ათვლის წერტილად. მიუხედავად მკვლევართა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი იზიარებს მოსაზრებას მსოფლიო პროცესების ე.წ. სინქრონულობის შესახებ. ჰეგემონიის ციკლების მოკლე მიმოხილვის ბოლოს არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ იმ პროგნოზებს, რომლებსაც მკვლევრები სხვადასხვა ციკლებზე და გრძელ ტალღებზე დაყრდნობით აკეთებენ. აზრთა სხვაობა აქაც საკმაოდ მრავლადაა. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუჭირდება ჰეგემონობის შენარჩუნება, თუმცა აშშ ყველა საშუალებას გამოიყენებს, რომ არ დაუშვას ამ სტატუსის დაკარგვა. ზოგი მეცნიერი მომავალ ჰეგემონად იაპონიას განიხილავს, ხოლო ზოგი მსოფლიოს მომავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიდერად ჩინეთს მოიაზრებს.

გლობალური წესრიგის აქტუალური საკითხების შესწავლას სხვადასხვა პერიოდში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა და იგი დღემდე ერთ-ერთი საინტერესო საკვლევი მიმართულებაა. რეალიზმის და ნეორეალიზმის სკოლის წარმომადგენლები ძალთა ბალანსის კონცეფციას მსოფლიო წესრიგის და მშვიდობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ ქვაკუთხედად მიიჩნევენ. აღნიშნული კონცეფცია საფუძველს ჯერ კიდევ თუკიდიდეს პერიოდიდან იღებს და იგი მრავალი მეცნიერის თუ ფილოსოფოსის შრომებშიც გვხვდება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ძალთა ბალანსის კონცეფციის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ პოლიტოლოგს და რეალიზმის სკოლების წარმომადგენელს ჰანს მორგენთაუს. იგი ავითარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არსებობს ორი ტიპის ძალთა ბალანსი: ბიპოლარული და მულტიპოლარული. ბიპოლარული სისტემის დროს მსოფლიოში ორი ჰეგემონი ძალაა, ხოლო მულტიპოლარული სისტემის დროს ძალა განაწილებულია რამდენიმე პოლუსს შორის, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალს, რომ რომელიმე ცენტრმა გადამწყვეტი უპირატესობა არ მოიპოვოს.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებულ მიდგომებს და პარადიგმებს ანაქრონიზმად მიიჩნევს კვანტური რელატივისტური თეორიის შემოქმედი მეცნიერი ემზარ ხვიჩია. მას მიაჩნია, რომ XXI საუკუნეში ძალის დემონსტრირება აბსოლუტურად ირაციონალურია და აცხადებს, რომ ახალი მოწყობის მსოფლიოში უნდა მოხდეს არა ძალის და რესურსების, არამედ ფუნქციების გადანაწილება, რასაც სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში ფართოდ მიმოვიხილავთ.

თავი II. ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი გამოწვევები (2.1. გლობალიზაცია - აშშ-ის იმპერიალიზმის გამოვლინება; 2.2. ლიბერალური დემოკრატია, როგორც უნივერსალური ღირებულება; 2.3. უნიპოლარული სამყაროს დასასრული და გლობალური პოლიტიკური აქტორები; 2.4. ბრძოლა ჰეგემონიისათვის: უნიპოლარული თუ მულტიპოლარული სამყარო?)

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში მიმოხილულია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები ამერიკული ჰეგემონიისა და იმპერიალიზმის შესახებ. გაანალიზებულია აშშ-ს იმპერიალიზმის უალტერნატივობა "ცივი ომის" შემდგომ პერიოდში და მისი იდეოლოგიური შესუსტება.

ლიბერალური დემოკრატიისა და ნეოლიბერალიზმის მიმართ XX საუკუნის დასასრულს გაჩენილი ოპტიმიზმი ნაჩქარევი და არაზუსტი გამოდგა. ამ პერიოდში პროგნოზირებდნენ, რომ ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებით გაჯერებული გლობალიზაცია ბოლოს მოუღებდა იმპერიალიზმის ეპოქას. თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, აშშ-ის სამხედრო იმპერიალიზმი 2000 წლებში გლობალური პოლიტიკური წესრიგის მთავარი მდგენელი გახდა. კრიზისის თვალსაჩინოდ წარმოჩენად კი განხილულია ედვარდ ლუსისა და ბილი ემოტის შრომები, რომლებიც ხსნიან მის შინაარსს და სიღრმისეულად აფასებენ იმდროინდელ მოვლენებს.

შემდგომ ქვეთავში საუბარია ლიბერალური დემოკრატიის იდეის განვითარებაზე და ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი მის ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში წვლილის შემტანი პიროვნებები. როგორებიც ადრეულ ეტაპზე იყვნენ ჯონ ლოკი, იმანუელ კანტი, ჟან-ჟაკ რუსო, უფრო მოგვიანებით ალექსის დე ტოკვილი და სხვანი. ასევე ლიბერალური დემოკრატიის იდეების განვითარებაში დიდი წვლილის შემტანი ვუდრო ვილსონი და მისი 14 პუნქტიანი გეგმა. შეფასებული და გაანალიზებულია ლიბერალური ინტერნაციონალიზმის ზოგადი ლოგიკის ხუთი ღირებულება და პრინციპი. ხოლო დასკვნით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ლიბერალური დემოკრატიის მუტაციურ ფორმაზე, რომელსაც ნეოლიბერალიზმად მოვიხსენიებთ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარმა მეტამორფოზულმა ცვლილებებმა კრიზისი კი არ დაასრულა, არამედ კიდევ უფრო ჩიხში შეიყვანა იგი.

მომდევნო თავში მოცემულია ერთპოლუსიანი სამყაროსთვის დამახასიათებელი ნიშნებისა და მისი თავისებურებების ანალიზი. ასევე, სხვადასხვა

მკვლევრებზე დაყრდნობით, მისი დაწყებისა და დასრულების პერიოდიზაცია. მაგალითად, ზოგი მკვლევარი თვლის, რომ უნიპოლარული სისტემა საბოლოო კრახს განიცდის, როდესაც ევრაზიის კონტინენტზე ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ფორმით აღარ იქნება წარმოდგენილი. მკვლევართა სხვა ჯგუფი კი ამბობს, რომ უნიპოლარული სისტემა XXI საუკუნის მეორე დეკადის მსვლელობისას დასრულდა, და აღნიშნულის ერთ-ერთ წინაპირობა აშშ-ის სამხედრო დომინაციის მკვეთრი შესუსტება გახდა, რასაც თან რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკების პოზიციების გაძლიერებაც დაერთო. მიმოხილულია სხვადასხვა აქტორები და სახელმწიფოთა შიგნით მიმდინარე პროცესები, რაც უნიპოლარული სამყაროს დასასრულს მოასწავებს და მულტიპოლარულ, ძალთა რამდენიმე ცენტრის ფორმირებას უწყობს ხელს.

დისერტაციის შემდეგ ნაწილში საუბარია თავად აშშ-ში მიმდინარე შიდა დაპირისპირებაზე, რომელიც წინა და ამჟამინდელ პრეზიდენტებს შორის მიმდინარეობს. კერძოდ, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ პრეზიდენტ ბაიდენის ხელმძღვანელობით მკვეთრად გადაუხვია ტრამპის იზოლაციონისტურ საგარეო პოლიტიკურ კურსს. ჯო ბაიდენის მიღებულმა პირველივე გადაწყვეტილებებმა ნათელი გახადა, რომ ნეოლიბერალური ფრონტი პოზიციების დათმობას არ აპირებდა, რომლის საბოლოო მიზანს აშშ-ის ჰეგემონობისა და აგრეთვე უნიპოლარული სისტემის შენარჩუნება წარმოადგენდა.

მეორე თავის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია პოლიტიკურ ავანსცენაზე მყოფ აქტორთა დამოკიდებულებები მსოფლიო წესრიგის მიმართ, სადაც ერთპოლუსიანი სამყაროს დასასრული და მულტიპოლარული სისტემის დანერგვის აუცილებლობა მოჩანს, მიუხედავად აშშ-ის და ნეოლიბერალური ფრონტის მცდელობისა.

თავი III. გლობალური პოლიტიკური წესრიგის კრიზისი და მისი ალტერნატივები (3.1. უკმაყოფილება XXI საუკუნის გლობალური წესრიგით,

ანტიჰეგემონური თეორიები და ალტერნატივები; 3.2. ანტიგლობალისტური მოძრაობები და ანტიჰეგემონური პრაქსისი: Occupy Wall Street ("დაიკავე უოლ-სტრიტი"), მსოფლიო სოციალური ფორუმი; 3.3. საერთაშორისო ურთიერთობების ახალი თეორია: ოპტიმალიზმის დოქტრინა)

დისერტაციის მესამე თავში განხილულია თანამედროვე გლობალური პოლიტიკის კრიზისი და მისი მოგვარების შესაძლო ალტერნატივები. პირველ ქვეთავში გადმოცემულია სხვადასხვა პოლიტიკური თეორიის მიხედვით კონსტრუირებული თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური სურათი, მისი სისტემური მახასიათებლები და კანონზომიერებები.

იმანუელ ვალერშტაინმა, რომელიც ანტიკოლონიური და ანტიჰეგემონური განწყობობებით არის შთაგონებული, შეიმუშავა ,,მსოფლიო სისტემების თეორია''. ამ თეორიამ უარყო მესამე სამყაროს ცნება - არსებობს მხოლოდ ერთი სამყარო, რომელიც დაქსაქსულია ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექსური სტრუქტურით. ჰეგემონის მიერ კაპიტალის მაქსიმალური აკუმულაციისთვის საჭიროა საერთაშორისო მშვიდობის მიღწევა, რომელიც ამ დაგროვებას ხელს არ შეუშლის. ამიტომ, დროდადრო ჰეგემონს სამხედრო ძალის გამოყენების საჭიროება უდგას, რომელიც გარე და შიდა დაძაბულობებს ასტიმულირებს. ამას თან ერთვის არაჰეგემონური ძალების ეკონომიკური განვითარება და წინსვლა, რომელიც ჰეგემონური ძალის თვითლიკვიდაციის და შესაბამისად, ამ ჰეგემონიის აუცილებელი ტრანზიციის პირობებს ქმნის. ვალერშტაინის თქმით, არ არსებობს ცალსახა პასუხი, თუ როგორი მსოფლიო სისტემა იქნება ოპტიმალური ცხოვრებისთვის. მომავლის სავარაუდო სცენარებზე შესახებ ფიქრი და მისი განხილვა საჭიროა, რათა ამ პოტენციურ რეალობებზე ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას.

სამუელ ჰანტინგტონი ,,ცივილიზაციათა შეჯახება''-ში აღწერს შიდაცივილიზაციურ პროცესსა და ცივილიზაციებს შორის ურთიერთობებს. იგი

სამომავლო გარდაქმნის წინაპირობად ცივილიზაციების შერწყმას, ან მათ შესაძლო დაპირისპირებას განიხილავს. ცივილიზაცია რამდენიმე ძირითად (ბირთვ) სახელმწიფოზე დგას და მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოების პერსპექტივების განხილვა - მათი ეკონომიკური, სოციალური და დიპლომატიური რესურსების გათვალისწინება. ჰანტინგტონი მიიჩნევდა, რომ დასავლური ცივილიზაციის წინააღმდეგ ყველა სხვა ცივილიზაცია შეიძლება გაერთიანებულიყო („ყველანი დასავლეთის წინააღმდეგ").

ენრიკე დუსელი „განმათავისუფლებელ ფილოსოფიაში" აღწერს ევროპულ სააზროვნო სივრცეს, რომელიც განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული ყალიბდებოდა. დუსელი ფიქრობს, რომ ევროპული განმანათლებლური ტრადიცია და მისი გაგრძელება იდეალურ წინაპირობას ქმნის, რომ ინტელექტუალურად დაფუძნდეს დასავლური ცივილიზაციის მჩაგვრელობითი მიმართება დანარჩენ მსოფლიოსთან. პოზიტივისტური ფილოსოფია, რომლის მიმდევარიც დუსელია, კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ბუნებას იკვლევს, რომელიც თავის მკაფიო გამოხატულებას პერიფერიებში პოულობს. დუსელის განმათავისუფლებელი ფილოსოფიის მიზანია პერიფერიების ექსპლუატაციის ისტორიის შესწავლა და ისტორიულ დისკურსში ერთ დროს ველურ ხალხად მიჩნეული, დღეს უკვე ემანსიპირებული საზოგადოებების დაბრუნება.

ჯოვანი არიგი ისტორიას წარმოადგენს, როგორც ჰეგემონის მიერ კაპიტალის დაგროვების ციკლურ პროცესს. თითოეული ციკლი ხასიათდება ერთი და იმავე ფაზებით, რომლებიც იწყება მატერიის გაფართოებით, რასაც, თავის მხრივ, მოსდევს ფინანსური გაფართოებაც. ფინანსური გაფართოების გვერდითი ეფექტია კაპიტალის ჭარბი აკუმულაცია, რაც საბოლოოდ იწვევს ჰეგემონი ძალის დასუსტებას და კრიზისს, რის შედეგადაც დასუსტებული ჰეგემონის ძალაუფლება გადადის ჰეგემონიის მთავარ პრეტენდენტზე. კაპიტალისტური ურთიერთობების პირობებში ფინანსური ექსპანსია ჰეგემონი ძალის გაფართოების საბოლოო ინსტანციას წარმოადგენს, რაც კაპიტალისტური წინააღმდეგობების გაძლიერებას იწვევს, ეს კი

ჰეგემონური ციკლის დასასრულის წინაპირობაა. აშშ-ის ჰეგემონური ციკლის ფინანსური გაფართოებით გამოწვეული კრიზისი 1970-იან წლებიდან იწყება და "ფორდისტული მოდელის კრიზისის" სახელითაა ცნობილი. ფინანსური ინსტიტუტების გაფართოების პროცესი ზენიტს 1990-იან წლებში აღწევს. არიგი სწორედ ამ მომენტს განიხილავს აშშ-ის ჰეგემონიის დასასრულად.

სამინ ამინი იმპერიალიზმის კრიზისზე და არათანაბარ განვითარებაზე ჯერ კიდევ 1970-იან წლებში წერდა. ის იკვლევს ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმებს ცენტრისა და პერიფერიების ურთიერთდამოკიდებულების მაგალითზე და შედეგად ადგენს, რომ არსებობს სოციალისტური ბანაკის კონსოლიდაციის საჭიროება. ამინი ცდილობს ახსნას კაპიტალიზმის ექსპანსია მსოფლიოს მასშტაბით და მისი გავრცელების შედეგები სხვადასხვა რეგიონზე.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის მეორე ქვეთავში განხილულია ანტიგლობალისტური და ანტიჰეგემონური მოძრაობების რამდენიმე მაგალითი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: ,,მსოფლიო სოციალური ფორუმი" და ,,დაიკავე უოლ სტრიტი". ამ მოძრაობების მიზანი იყო ნეოლიბერალიზმისა და იმპერიალიზმის, ასევე ფინანსური ინსტიტუტების წინააღმდეგ მკაფიო განცხადებების გაკეთება და მათ მიერ წარმოშობილი კრიზისების გადაჭრის გზების დასახვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივისტურმა მოძრაობებმა საბოლოო ჯამში თავის დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, მათმა ბრძოლამ აჩვენა, რომ აშშ-ის ჰეგემონური მოდელი არ წარმოადგენს ერთადერთ უალტერნატივო სისტემას, როგორადაც ეს XX საუკუნის 90-იან წლებში მიიჩნეოდა და საჭიროა ახალი მოდელის შეთავაზება თანამედროვე სამყაროსთვის. 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა კი ტრადიციული პოლიტიკური წესრიგის უუნარობა საბოლოოდ დაამტკიცა და მისი შეცვლის აუცილებლობა გამოავლინა.

ნაშრომის მესამე თავის მესამე ქვეთავში მოცემულია ახალი საერთაშორისო პოლიტიკის თეორია: ემზარ ხვიჩიას ,,კვანტური რელატივისტური ნოოლოგია"

(შემდგომში ნოოლოგია), რომელიც სრულიად ახალი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური აპარატით განიხილავს საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებს და დასახული კრიზისების უპირობო გადაჭრის გზად საერთაშორისო პოლიტიკურ ველზე ძველი თეორიის პარადიგმულ ცვლილებს ასახელებს. ამ თეორიის საფუძველზე დგინდება ,,რესურსების დატაცების სტრატეგიის'' არაოპტიმალურობა, იმ ობიექტურ პირობებთან მიმართებაში, რაც თანამედროვე მსოფლიოს დღეს უდგას. რესურსების დატაცების სტრატეგია პოლიტიკურ აქტორებში ურთიერთშიშისა და უნდობლობის გაღვივებას იწვევს და ის უნდა ჩანაცვლდეს საერთაშორისო, მდგრადი, ოპიტიმალური ფორმატით. ,,ოპტიმალიზმის დოქტრინის'' ინიციირების მეშვეობით, უნდა აღმოიფხვრას თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე დაყენებული პრობლემები. აღნიშნული შეთანხმების მიღწევა წარმოადგენს ,,სტიქიური'' ცივილიზაციური პროცესების მეცნიერული რეგულაციის (ოპტიმალიზაციის) პროგრამას.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანსა და ამოცანას საერთაშორისო პოლიტიკური რეალობისა და იმ გამოწვევების წარმოჩენა წარმოადგენდა, რომელთა გადაჭრის საკითხი კაცობრიობის წინაშე დგას. კვლევის მიზანი იყო გლობალური კონიუნქტურის გააზრების პროცესში გაგვეანალიზებინა საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და კრიტიკული თეორიები და გამოგვევლინა მათში არსებული ხარვეზები, ამიტომაც ნაშრომის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ საკითხს დაეთმო.

კვლევის პროცესმა გამოავლინა, რომ მხოლოდ არსებული თეორიულ-კონცეპტუალური ბაზის შესწავლა და კრიტიკული გადააზრება არ იყო საკმარისი შექმნილი გლობალური პანორამის ჯეროვნად აღსაქმელად. ამიტომ გლობალური კონიუნქტურის უკეთ გასაშიფრად ნაშრომში განვიხილეთ საკვანძო ანტიგლობალისტური მოძრაობებიც, რამაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა,

როგორც არსებული სისტემური კრიზისი, ისე - მონომოდალისტური გლობალური პროექტის მანკიერებანი და ამ პროექტის მარცხისთვის განწირულობა.

კლასიკური და კრიტიკული საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების სიღრმისეული შესწავლის შედეგად დავასკვენით, რომ დღემდე არსებული საერთაშორისო ურთიერთობების ვერცერთი თეორია ვერ ახერხებს სისტემური კრიზისის გამომწვევი მიზეზების ამომწურავ ანალიზსა და შექმნილი კონიუნქტურიდან გამოსავლის შემოთავაზებას.

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან საერთაშორისო წესრიგი აშშ-ცენტრული გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულმა პოლიტიკურმა წესრიგმა პლანეტარული ხასიათი შეიძინა. ამერიკული ჰეგემონიური პროექტი კონცეპტუალურ ნაწილში ლიბერალიზმს და ნეოლიბერალიზმს ემყარება, ხოლო მის მიზანს უნიპოლარული საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბება და მისი შენარჩუნება წარმოადგენს, რადგან სხვაგვარად ამერიკული ჰეგემონიის შენარჩუნება შეუძლებელია.

ლიბერალური დემოკრატიის პლანეტარულ მასშტაბებზე განვრცობის პროექტს, რის ლოკომოტივსაც ანგლოსაქსური სამყარო წარმოადგენს, მთელ მსოფლიოში უფრო და უფრო მეტი წინააღმდეგობა ხვდება. რეზისტენციული კერები განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო დეკადის მანძილზე, რა პერიოდშიც ჩინეთი და რუსეთი საგრძნობლად მოძლიერდნენ. წინააღმდეგობის ცენტრებისა და ახალი ძალაუფლების კონცენტრაციის ადგილების წარმოქმნას აშშ-ის შიგნით პოლარიზაციის მზარდმა ტალღამ შეუწყო ხელი.

ლიბერალური ღირებულებები და ნეოლიბერალური პოლიტიკა (ნეოლიბერალიზმი ლიბერალიზმის ადაპტირებულ და უფრო მოქნილ რეალიზაციას წარმოადგენს), რაც დასავლური პოლიტიკური წესრიგის ქვაკუთხედია, მიუღებელი აღმოჩნდა არადასავლური სამყაროსთვის. მათ შორის, რა თქმა უნდა, აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი მნიშვნელოვანი აქტორები,

როგორებიც არიან: ჩინეთი, რუსეთი, სერბეთი, უნგრეთი, ბელორუსია, ირანი და ახლო აღმოსავლეთისა თუ შუა აზიის სხვა ქვეყნები.

დასავლური პოლიტიკური ელიტისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რატომ არის მათი ღირებულებათა სისტემა შეუთავსებელი მთელი რიგი არალიბერალური რეჟიმის მქონე ქვეყნებისთვის. ამ საკითხის სიღრმისეულ და დამაკმაყოფილებელ ახსნას ვერ გვთავაზობს ვერცერთი კლასიკური და კრიტიკული საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.

ლიბერალიზმი, როგორც თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური იდეოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი იდეალების, წარმოდგენებისა და პრინციპების გავრცელებას ხედავს. მსოფლიო წესრიგისადმი მათი მისიონერული დამოკიდებულება უფრო შორს მიდის და სამყაროს ბინარულ და დიქოტომიურ აღქმას აფუძნებს: ის ქვეყნები და საზოგადოებები, რომელთათვისაც შეუთავსებელი და არაენდემურია ლიბერალური დემოკრატია, რეაქციულ ძალად და საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობისა და პროგრესის ხელისშემშლელ ელემენტებად განიხილებიან. პოლიტიკურ მეცნიერებებში ხშირად მათ სპეციალური ტერმინით მოიხსენიებენ - rogue states. ურჩი ქვეყნების ჩამორჩენილობა და ობსკურანტიზმი იქამდე გრძელდება, სანამ ისინიც არ გაითავისებენ ლიბერალური დემოკრატიის სიკეთეებს.

ლიბერალური დემოკრატიის, როგორც უალტერნატივო პოლიტიკური სისტემის უნივერსალიზაციის მცდელობამ მშვიდობისა და სტაბილურობის ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი ქაოსი, ომები და გარკვეული რეგიონების სრული დესტაბილიზაცია გამოიწვია. ამის ნათელი ილუსტრაციაა ის, თუ რა ხდებოდა ბოლო ორი დეკადის მანძილზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ლიბერალიზმის მსგავსად საერთაშორისო ურთიერთობის სხვა კლასიკური თეორიების - მაგალითად, როგორიცაა რეალიზმი და მარქსიზმი - მიზანიც საერთაშორისო ურთიერთობებში შედარებითი მშვიდობისა და საყოველთაო

კეთილდღეობის გარანტიების შექმნაა. თუმცა, ემპირიულად გამოჩნდა, რომ ლიბერალიზმის მსგავსად ამ საქმეში ფუნდამენტურ და გარდამტეხ წარმატებას ვერცერთმა მათგანმა ვერ მიაღწია. XX საუკუნის ისტორიამ ცხადყო, რომ იდეალური თეორიული პოლიტიკური მოდელების შექმნა სულ სხვა რამაა და საუკეთესო ვარიანტში დიდი ცვლილებების პრელუდიად შეიძლება ჩაითვალოს, პრაქტიკაში მათი გადატანა კი გაცილებით მეტ სირთულეებთან და გამოწვევებთანაა დაკავშირებული.

რეალიზმის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების კიდევ ერთი კლასიკური თეორიისთვის, გლობალური პოლიტიკა ანარქიულია, სადაც ყველა სუბიექტი მუდმივ კონკურენციაშია ჩართული. ამ კონკურენციის ხასიათს სახელმწიფოს ფაქტობრივი ძალა, უფრო მეტად კი მისი სამხედრო კომპონენტი განსაზღვრავს. რეალიზმის ფარგლებში რესურსების დატაცებისა თუ გავლენებისათვის ბრძოლაში წარმატების მიღწევის შანსები ძალის პრიმატით დეტერმინირდება. რეალიზმისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური მიდგომებით კი, როგორც ამას დღევანდელი მოცემულობა და გლობალური პოლიტიკური კონიუნქტურა გვიჩვენებს, საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური, მრავალმხრივი აღწერა და სწორი პროგნოზების გაკეთება ვერ ხერხდება.

მარქსისტული თეორია საერთაშორისო ურთიერთობებს ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან აფასებს, სადაც უმთავრეს ფაქტორად სოციო-ეკონომიკური განზომილება განიხილება და სხვა ფაქტორები ეკონომიკურ პარამეტრებთან შედარებით ნიველირებულია. მარქსიზმისთვის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ სქემას მაღალინდუსტრიული და განვითარებული ქვეყნების მიერ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ექსპლუატაცია წარმოადგენს. მსგავსი რედუქციონისტული მიდგომა კი ყურადღების მიღმა ტოვებს მთელ რიგ კულტურულ, რელიგიურ თუ იდეოლოგიურ ფაქტორებს, რომლებსაც, როგორც გლობალური პოლიტიკური ისტორია გვიჩვენებს, მეტად დიდი და შეიძლება

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის დროს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ვერცერთი კლასიკური თეორია ვერ ახერხებს დასავლეთსა და დარჩენილ მსოფლიოს შორის ანტაგონიზმის ჩაცხრობას, კონფრონტაციის კერების შემცირებას და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით შექმნილი გლობალური დაძაბულობის დეესკალაციას. შესაბამისად, არსებული თეორიები ვერც თეორიულ გამოსავალს ვერ გვთავაზობენ და მით უფრო, ვერც პრაქტიკული გადაჭრის გზების შემუშავებას ახერხებენ. საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სააზროვნო სკოლებისთვის დღემდე გაუგებარია გლობალური კრიზისისა და კულტურული კოლიზიის საფუძველი და შესაბამისად, მათი მცდელობა შეიმუშაონ თეორიული და პრაქტიკული აპარატი, რომელიც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი გახდება, წარუმატებლობისთვისაა განწირული.

კვლევის ჰიპოთეზის გადამოწმების პროცესში დადასტურდა, რომ შექმნილი კონიუნქტურის სტაბილიზაცია არსებული სააზროვნო პარადიგმების საზღვრებში ვერ მოხერხდება. ამ პარადიგმების ფარგლებში აღმოცენებული საერთაშორისო ურთიერთობების სკოლები კი ვერ უზრუნველყოფენ ისეთი გლობალური სისტემის მოდელის შემოთავაზებას, რომელიც უზრუნველყოფს აქტორებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას. მაგალითისთვის, ლიბერალიზმისა და ნეოლიბერალიზმის პერსპექტივა თავისი თეორიული აპარატის სიმძლავრით ვერ სწვდება უკრაინა-რუსეთს შორის არსებული კონფლიქტის იმგვარ ახსნას და კონფლიქტის რეზოლუციის ისეთი მოდელის შემოთავაზებას, რაც კონფლიქტში ჩართული ყველა მხარისთვის გასაგები და მისაღები იქნებოდა. რეალიზმის სკოლის ჩარჩოებში ყველაზე დამაჯერებლად და დამაკმაყოფილებლად ხდება მოცემული კონიუნქტურის ანალიზი, თუმცა, ამ სკოლის წამყვანი მოაზროვნეებიც კი სიტუაციის აღწერასა და ანალიზზე შორის ვერ მიდიან.

კვლევის პროცესმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების ახალი თეორიის შემუშავება, რომელიც ახსნას მოუძებნის იმ ფუნდამენტურ განსხვავებებსა და შეუთავსებლობას, რაც სხვადასხვა კულტურებში და პოლიტიკურ სისტემებშია წარმოდგენილი. საუკეთესო შემთხვევაში ამგვარმა თეორიამ უნდა შემოგვთავაზოს გლობალური კრიზისიდან თავის დაღწევის გზა და პოლიტიკური წესრიგის ტრანსფორმაციის პროექტი, რომელიც საბოლოოდ ახალ ოპტიმალურ გლობალურ სისტემას დააფუძნებს. ახალი პარადიგმა რადიკალურად უნდა ემიჯნებოდეს გაბატონებული რესურსების დატაცების პოლიტიკას, ვინაიდან დღევანდელ მრავალფეროვან და ურთიერთდამოკიდებულ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში რესურსების დატაცების პარადიგმის საზღვრებში ოპერირება ფაქტობრივად გარდაუვალს ხდის ახალი კონფლიქტებისა და ომების გაჩაღებას მომავალში.

რესურსების დატაცების პარადიგმიდან ნახტომს მხოლოდ ქართული სამეცნიერო სკოლის პროდუქტი - კვანტური რელატივისტური ნოოლოგია - აკეთებს. ნოოლოგიამ შემოგვთავაზა ერების ახლებური კლასიფიკაცია მათი ფსიქოტიპის (ნოოტიპის) შესაბამისად, რაც შესაძლებელი გახდა განწყობის მოუცილებადი ფაქტორის აღმოჩენის საფუძველზე. ნოოლოგიამ წარმოაჩინა და აღწერა საერთაშორისო სისტემის სრული სურათი და ოპტიმალიზმის დოქტრინის სახით შეიმუშავა მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის ახალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, რომელსაც ზურგს ნოოლოგიით მიღებული შედეგები უმაგრებს. ოპტიმალიზმის დოქტრინაში წარმოდგენილი პრინციპებით კონსტრუირებული ახალი საერთაშორისო წესრიგის მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: ოთხივე ფსიქოტიპის (ნოოტიპის) ერს საკუთარი მისთვის შესაბამისი ფუნქციები და საერთაშორისო როლი მიენიჭებათ, რაც სისტემის მდგრადობისა და ეფექტური ფუნქციონირების გარანტია იქნება.

ნოოლოგია, როგორც ახალი პარადიგმა და ოპტიმალიზმის დოქტრინაზე დაფუძნებული მსოფლიოს ახალი მოწყობა კაცობრიობას სთავაზობს საერთაშორისო

ურთიერთობათა სისტემაში როლებისა და პოზიციების ფუნქციურ დანაწილებას. როგორც უკვე აღინიშნა, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საერთაშორისო სისტემაში თითოეული აქტორის საკუთარი კულტურისა და ეროვნული ინტერესების შესაბამისად ჩართვას. შედეგად, სისტემა აღარ იქნება მხოლოდ რესურსებზე კონტროლის მოპოვების მოტივით განპირობებული.

2022 წლის უკრაინის კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ახალი სააზროვნო პარადიგმისა და ახალი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის შემოტანის აუცილებლობაში. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა, რომელმაც გლობალური დაპირისპირების ხასიათი შეიძინა, ცივი ომის მსგავსად საფუძველი დაუდო დაპირისპირებულ იდეოლოგიურ ბანაკებსა და თეორიულ სკოლებს შორის დისკუსიის გაღრმავებას. თუმცა, ამ დისკუსიებმა ცხადად დაგვანახა, რომ მხარეები ყველაზე ფუნდამენტური საკითხების ირგვლივაც კი ვერ ახერხებენ კონსენსუსის მიღწევას. მეორე მხრივ, ნოოლოგია უკრაინის კონფლიქტის, მისი სიმძიმისა და გახანგრძლივებული ბუნების პროგნოზირების საშუალებას გვაძლევს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ახალი თეორიულ-მეთოდოლოგიური აპარატის მნიშვნელობასა და უპირატესობას აქამდე არსებულ სკოლებთან მიმართებით.

კვლევის ფარგლებში დამდგარმა შედეგებმა ნათელყო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა თუ ანტიგლობალისტური მოძრაობების იდეოლოგიური მისწრაფებების სიმყიფე. ამ ფონზე გამოიკვეთა ნოოლოგიის, როგორც მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საუკეთესო ალტერნატივის, შემდგომი მეცნიერული შესწავლისა და განვითარების, ასევე - ოპტიმალიზმის დოქტრინის ინიციირების აუცილებლობა.

კვლევის საწყის ეტაპზე განისაზღვრა ოთხი ძირითადი საკვლევი კითხვა, რომლებზე პასუხის გაცემაც, ჰიპოთეზის გადამოწმებასთან ერთად, წარმოადგენდა წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის ძირითად დანიშნულებას. კვლევის პროცესში შევძელით დაგვედგინა, რომ მოძველებული პარადიგმები და მის წიაღში არსებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ეროზია გლობალური კრიზისის ერთ-ერთ მთავარი

განმაპირობებელი ასპექტია. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიების და სკოლების ძირითადი ნაკლი მათი უნივერსალიზმისკენ მიდრეკილება და შეზღუდული, ცალმხრივი ბუნებაა. ნაშრომის მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვან მიგნებას სწორედ კვანტურ-რელატივისტური ნოოლოგიის და მასზე დაფუძნებული ოპტიმალიზმის დოქტრინის შემოტანის აუცილებლობის დეტექტირება წარმოადგენს. ნოოლოგიის თეორიული აპარატის შესწავლისას დავინახეთ, რომ ეს თეორია საშუალებას იძლევა ისეთი მოვლენებისა და პროცესების პროგნოზირების, რაც ძველი საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების საზღვრებში შეუძლებელი იყო.

კვლევის დასაწყისში ჩვენ განვსაზღვრეთ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე გლობალური კრიზისიდან გამოსავლის მოსაძებნად აუცილებელი იქნებოდა ახალი თეორიული სკოლისა და ინტერპრეტაციების შემოტანა. კვლევამ და მიღებული შედეგების ანალიზმა სწორედ ამ დასკვნამდე მიგვიყვანა და შევძელით ისეთი თეორიული აპარატის მოძიება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ჰიპოთეზის ფარგლებში წამოჭრილ საკითხებზე, ისე საკვლევ კითხვებსა და კვლევის მიზნებზე პასუხის გაცემას.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კვლევის პროცესში შევძელით დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე პასუხის გაცემა. ამასთანავე, დასმული ჰიპოთეზა ახალი თეორიის აუცილებლობის შესახებ დადასტურდა. ამ მხრივ, სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება კვლევების გაგრძელება ორი მიმართულებით: როგორც ცალკეული თეორიებისა და მოვლენების ნოოლოგიის აპარატის პრიზმაში გაანალიზება, ასევე უშუალოდ ნოოლოგიის თეორიული ინსტრუმენტის გადამოწმება.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიის წინაშე დაცულია სამი კოლოქვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოქვიუმი №1 - გლობალური პოლიტიკური ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ისტორიული პერიოდიზაცია

2. კოლოქვიუმი №2 - ახალი მსოფლიო წესრიგი და მისი გამოწვევები

3. კოლოქვიუმი №3 - გლობალური პოლიტიკური წესრიგის კრიზისი და მისი ალტერნატივები

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

რუსეთის შეთავაზება „დიდი ხუთეულის“ სხვა წევრებისადმი და შემდგომ განვითარებული გეოპოლიტიკური პროცესები.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ამერიკული ჰეგემონიური პროექტის კრიზისი და მისი გლობალური იმპლიკაციები: ახალი ჰეგემონიური ძალის აღზევება თუ გზა მულტიპოლარული

სამყაროსკენ. რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,პოლიტო/LOGOS", N5, გვ. 166-176, 2022 წელი.

2. The South Caucasus and Global Politics, Research Journal of Humanities and Social Sciences, N1(2), 2022.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

1. პოლიტიკური აზრის კრიზისი საქართველოში საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციიდან დღემდე - (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) 2021 წელი.

2. კორონავირუსის პანდემია და გეოპოლიტიკური გადატვირთვა: კოვიდ-19-ის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე - (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კოვიდ19-ის გავლენა საერთაშორისო სისტემაზე" - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი) 2021 წელი.

3. საქართველოს როლი საერთაშორისო პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტაში - (მსოფლიოს გლობალური გამოწვევები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) 2022 წელი.

Caucasus International University

Faculty of Social Sciences and Humanities

Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

Madlen Paposhvili

Crisis of Global Political Relations and the Prospects for Overcoming it

Research Supervisor: Doctor of Political Science, Professor of the Georgian Technical University - Tamar Kiknadze

The synopsis of the dissertation is submitted for the Doctor of Political Science degree

Tbilisi, 0141, Georgia

2024

Research Supervisor:

Tamar Kiknadze - Doctor of Political Science, Professor of the Georgian Technical University.

Official reviewers:

1. Nika Chitadze - Doctor of Geography, Professor of the International Black Sea University

2. Edisher Gvenetadze - Doctor of Historical Science, Professor of the Georgian Technical University.

The thesis is defended on February 28, 2024, at 15:00, with the Dissertation Board of the Caucasus International University Faculty of Social Sciences.

Address: 0141, Chargali Str., CIU, Building 1, Room 305.

The full version of the dissertation is available at the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board

Petre Mamradze - Associate Professor of the Caucasus International University

Annotation

Present doctoral dissertation „Crisis of Global Political Relations and the Prospects for Overcoming it" reviews the challenges and problems existing in the field of International Relations, which can lead humanity to devastating results in a global context. The thesis describes the evolution of theories of international relations and evaluates various global events and processes in the light of the historic context. The thesis focuses on the existing global and systemic crisis, the world is facing today.

In the dissertation, the theories of international relations operating in the modern world and recognized, and the critical theories of IR created as a reaction to the former are analyzed and after in-depth study, it is that within the framework of the existing paradigm it will be impossible to resolve the crisis and propose a new optimal world order. Consequently, the world needs to move new paradigm. For initiation of this process constructive dialogue among all major actors, as well as the reaching of an agreement between them and coordinated actions are required, in order to de-escalate the ongoing crisis and prepare a fruitful basis for new global political architecture. Yet, according to the research presented in the dissertation, within the scope existing paradigm despite various attempts, the leading actors are still unable to agree upon a united position, localize the zones of confrontation and stabilize the international political landscape.

In the first chapter of the dissertation are discussed such theoretical and methodological foundations of international relations, which on their part, have a great impact on global politics. In the research, the following schools of international relations are analyzed: liberalism, realism, neorealism, Marxism, neo-Marxism, and constructivism. Within the research, the shortcomings of existing theories and the standstill of international relations were identified. On one part, their theoretical shortcomings and incomplete nature, and on the other part, their inability to guide us from a standstill in international relations. Given these conditions, the dissertation offers a new theory developed in the Georgian scientific community, which can overcome the problems, that the modern world is facing.

In the second chapter new world order, its' historical sinuosity, and the globalization process, as an attempt to spread the liberal democracy in the world, are reviewed. This chapter shows that the model of democracy, which is in fact seen as its only form (liberal democracy), is not really an alternative, and moreover, the attempts to achieve universalization, aggressive expansion and absolute hegemony are doomed to failure from the outstart.

In the same chapter the unipolar world order since the 1990s, which was established after the dissolution of the USSR, and the scenarios of its' transformation. In this context, one of the main proponents and actors of international politics is reviewed - China as a centre of hypertrophically growing power. The same chapter of the dissertation presents modelled scenarios of what a new world might be like as a result of the dissolution of the unipolar international order and discusses the different variations of the multipolar order. This part also includes a detailed analysis of American hegemony and the main vectors and strategy of US foreign policy, as well as a comparative analysis of positions and approaches of the last two administrations of US presidents.

In the third chapter, the anatomy of the crisis of global political order is analyzed and the alternatives of its' resolution are analyzed. Within the dissertation, central antihegemonic theories are reviewed, including but not limited to the „World Systems Theory" (I. Walerstein) and an article by Samuel P. Huntington „Clash of Civilizations", as well as "Philosophy of Liberation" (E. Dussel), The Theory of Hegemonic Transaction by Giovanni Arrighi and global inequality and the third world as viewed by Samir Amin.

Within the scope of the doctoral dissertation anti-hegemonic praxis, consequent social resistance and global anti-hegemonic movements/projects are discussed, such as "World Social Forum", "Occupy Wall Street" and "Black Lives Matter." The prehistory and reasons for the formation of anti-hegemonic movements are discussed, as well as their methods of struggle, goals, and results.

In the final part of the dissertation Relativistic Quantum Theory, a new theory of international relations, and the "Doctrine of Optimalism" based on it, are proposed as a guarantee of overcoming the systemic crisis and establishment of peace and stability in the international system.